



სა ლ ი ე კ რ ა ბ შ რ ო დ ა ს ა მ ე ს ნ ი ე რ ო ნ ა ხ ა ბ შ ა ი ნ ი ნ ზ ა ზ ე თ ი . ზ ა მ ო დ ი ს შ ო მ ე ლ კ ი რ ა დ ღ ო ს .

№ 17

აპრილი 16 1895 წ.

№ 17

ზინარსი: კნენა ბარბარე ჯორჯაძისა. — გამომუშავდეს და * ლექსები კნ. ბარბარე ჯორჯაძისა. — ცეცხასიერა ან-
ბანის შესახებ, პეტრე მარკოზისა. — სხვა-დასხვა ამბები. — ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან, ალ. გარსევანაშვილისა. —
მაროკო, ან. წ. — ლისა. — საეურადღებო ამბები. — სვიმონ ხელი, ე. ბარნოვისა. — აღიონი გაზაფხულზე, დეკსი ზეზვასი. — ირჭო-
და შეხედულობა, თ. ქაღარასი. — საქველმოქმედო საქმეები.



† კნ. ბარბარე ჯორჯაძისა

ქვენ მწერლების უიმისოთაც მკითე გუნდს გამოაკლდა კიდევ ერთი მწერალი ქალი — კნენა ბარბარე ჯორჯაძისა, რომელიც ორი-სამი თვის ავთიმყოფობის შემდეგ ვადარცვალა თე-ლაეში 12 აპრილს. ეს ქალი და ჩენი უზუტესი პოეტის რაფიელ ერისთავისა. ოც-დაათ წელიწადზე მეტია რაც მოღვაწეობს კნ. ბარბარე. ეს, თითქმის პირველი ქალი იყო, რომელმაც აიღო კალამი ხე-ლში და გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. მან დაი-წყო ჟურნალ „ცისკარში“ 1858 წ. ლექსების და მოთხრობების წერა და თითქმის სიკვდილამდე კა-ლამი არ დაუღლია ხელიდან. მისი დრამა „მურო“ და კომედია „რა დეკარე და რა ეპოვე“ ამ ოც-დაათი წლის წინეთ დაწერილი, არა ერთხელ იყო წარმოდგენილი თეატრში. „კვალის“ მკითხველიც შეხედებოდა ზოგჯერ მის ნაწერებს.

მართალია ერთ დროს, როდესაც ქართველ სა-ზოგადოებას ერთი ვაზეთის მეტი არ ჰქონდა, სრუ-

ლებით აღარ შეხედებოდათ ბარბარე ჯორჯაძის ნაბეჭდ თხზულებებს და ყველა მას იხსენიებდა მხოლოდ "შვენიერათ შედგენილი „სამზარეულო“ წიგნით, მაგრამ როგორც ბოლოს გამოჩნდა, იგი ყურადღებით თვალს ადევნებდა ჩვენ ქართულ მწერლობას და არ ჰკარგავდა იმედს, რომ მისი დაუბეჭდავი თხზულებები ნახავენ უფრო კაი დროს. მართლაც, გამოვიდა თუ არა „კვალი“ იგი თანაგრძნობით მიყვება ამ გამოცემას და სიკვდილამდის გვაწოდებდა თავის ნაწერებს.

ქნ. ბარბარე ჯორჯაძისა იყო შინაურათ ოჯახში აღზრდილი, მაგრამ მისი მსჯელობა გააკვირვებდა ბევრს ევროპულ სწავლით შეჭურვილს პირებს.

ამ ორი წლის წინათ მე მომივიდა მისგან კერძო წერილი საზოგადოათ ქართველ ქალების აღზრდაზე*) და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს დაწერილია შინაურათ აღზრდილი მოხუცი ქალისაგან.

მისი შეწვევის ნამდვილი ქართული ენა კიდევ უფრო ამშვენებდა მის მოთხოვნებს და ლექსებს. რომ იგი დღიურ ვარამს ყოველთვის გულმოდგინეთ ადევნებდა თვალს ამას გვიმტკიცებს აქ მოყვანილი მისი ორი ლექსი.

*) ამ წერილს ამ ცოტა სსსში დაუბეჭდავთ.

რედ.

გამომძიებელს



ენ ეგ კალამი, მრავლის წამალი, დამნაშავეთის მკვეთელი ხმალი, ისე იხმარე, რომ არ მოგაკტოს

თავისი ჩირქი და ქუჭყის ხალი.

თორემ, იცოდე, მას ვერ ამოშლის, ვერცა მახვილი, ვერც ალი ცეცხლის, ვერცა გავლენა ოქროს და ვერცხლის, არ მოგცილდება სიკვდილამდის ის...

ბარბარე ჯორჯაძისა

* *



ას იბრინძები, რას იტიმები? თითქოს ვერ გიცნობთ ვინცა ზძანდები, მხრებ აწული ამპარტავენულათ შენ მოამყვებსა რათ უმზერ მტრულათ?

თუ აღვამალღეს, მორტყული დავსვეს, და შენატორიან ყველანი შენ სევს, მაგისთვის რა ექნათ, უფრო არ გშენის, შენ თავმდაბლობა და რგება ქვეყნის

კაცი ის არის, ვინც მოსამართლე ღარიბ, ოხრისა იყოს მოწყალე,

თორემ ზეაბა და ზიზლით ღრეჯა საქმის მოხონენელთა, ხომ არის დასჯა?

ფეხქვეშ გათელავ შენ დაჩაგრულებს, და ეს გგონია რომ გასახელებს? არა, ძამიავ! მაშ შეე რვეულში, ჩაიწერები დამლუპავთ რიცხვში.

სიმათლეს ვიტყვი და ნამდვილს აქ მე, ამგვართ არის მსაჯულის საქმე, დიდ ორშაბათის ყენიით დასმენ, მაგრამ მუჩსაც კი მალე წაუსმენ.

ბარბარე ჯორჯაძისა

კავკასიური ანბანის შესახებ

ქართული ენა ყველა კავკასიური ფესვის ენებში ერთათ-ერთი ენაა, რომელსაც საკუთარი ანბანი და ლიტერატურა მოუპოვებდა. კავკასიის სხვა-დასხვა მთიულნი, რომლებთანაც ისტორიულ წარსულში რამე კავშირი ჰქონია ქართველობას, ამიტომ თელიდენ ქართულ ანბანს, ქართულ წერა-კითხვას თავისათ *).

ესეც რომ არ იყოს, და მართა საგნის მეცნიერთა მხარეც რომ მიეღოთ, მაინც გამოდიოდა, რომ თუ ოდესმე საქირა შეიქნებოდა კავკასიურ ენათა სიტყვების ჩაწერა, უსათუთო უნდა ხმარებულიყო ქართული ტრანსკრიპცია. თუ მრავალ ენოვან კავკასიის მთიულ ერთათვის ანბანი შედგებოდა, ამ ანბანის საძირკელათ ქართული ალფაბეტი უნდა დადებულიყო. ეს იმიტომ, რომ რაც უნდა კავკასიურ ენათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება სეგმით გამოკვლეული არ იყოს, მაინც საფიქრებელია, რომ ყველა ისინი მონათესავენი არიან და ვერც ერთი დღევანდელი ალფაბეტი, ისე კარგათ და დაახლოვებით ვერ გამოიპატუეს ხოლმე კავკასიურ ენათა სხვა-დასხვა ბევრებს, როგორც ქართული, ეს კარგათ შეიგნო ამ საუკუნის მე-40-ე წლებში სახელოვანმა ფილოლოგმა გ. როზენმა **), რომელმაც კიდევ იხმარა ქართული ანბანი, სხვათა შორის,

*) ერთი აფსაზი თავადიშვილა, რომელაც ოსმალეთში იყო თავის ქმის, ოსმალეთში შექპირათ გრდასკეწილის, ხანსაკათ გეგუნბოდა: სტამბოლში კავკასიის ყაენანაში შეიკრებუიან სოლმე ჩერქეზეთი (იქ უკვალ კავკასიელს ჩერქეზებს ეკსიან თურმე) და ბეგრ რძეკეზე ოტრბეკუნო... ერთსელ ოსმალის და ჩერქეზებს, შუა ჩამოვრდა კამათობა და თითოეული თავის ერთგუების უმბარტესობას ამტკიცებდა. ჩერქეზს სიკათა შორის, ეთკა: ჩვენ საკუთარ მიწა-წყლიდა განდგომარნიდლი ვართ, უფსო ქვეყანაში ვცხოვრობთ და აქნც ასე მიგუეკუს ჩვენი საშუა სასკუთარ სამშოლოში რომ ვყოთ, რად ვიქნებოდითო. ოსმალის ენგებრო: თქვენ რად იყოთ, რადგ ანანსი არ გქონათ, წერა-კითხვა არ იცოდითო? ჩვენსა საერთო ანბანი ქართული ანბანი იყოო, მიეგოთ თურმე ჩერქეზებს.

**) იხ. Ossetische Sprachlehre nebs einer Abhandlung über das Mingrelische, Suanische und Abchasische. გ. როზენსა, გვ. 83.

აფსაზთ ენის სიტყვათა ჩასაწერათ (ნახე ზემო ქოყენისი სტატ.). შემდეგში, მის მივიერ, რომ ქართული ანბანი, როგორც უფრო მოხერხებული და სხვაზე უფრო დაახლოვებით გამოიპატევილი კავკასიურ ბერათა, შეემუშავნათ, შეეცნათ და გაეხადთ კავკასიურ ანბანს, ენის მკვლევართ გადაუხვიეს ამ სწორე; როზენის მიერ გაკაფულ გზას. ამ შემედარ გზას დაღა, სამწუხაროთ, ისეთი სახელოვანი ფილოლოგი, როგორც იყო ბარონი პ. ე. უსლარი...

ეს მეცნიერი, აღნიშნავს რა, რომ ქართული ანბანი თითქმის უუსრულოესი ანბანი ყველა ანბანებზეო, იმორწმებს გ. როზენისა, შოაგრენისა, შიფნერისა და მამა ცისკაროვის შეხედულებათა, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბერათა სისტემა კავკასიურ ენებს ერთი აქეთ ქართულთანო, და რომ ამ უკანასკნელის ანბანი, ცოტადენის შეესებით სრულიათ გამოსადეგია მათთვისო. (ნახ. სტატ. ბარ. უსლარისა „О составлении азбуки Кавк языковъ გვ. 48 — 49, Этнография Кавказа, Абхазский языкъ. Типисн 1887 г.

ამ სახითაო, დასკენის ქვემოთ ავტორი, კავკასიურ ენათა ანბანის შესადგენათ შეიძლება მივილოთ ქართული ანბანის სისტემაო, „მკარამ თუ ჩვენ დავესსსხეთ ქართველებს, არა თუ სისტემას, თვით ასითა გამოხატულებასაც, ჩვენ ნება-ყოფლობით გაეაჩნთ სიმწელსა“. (ნახ. იქვე, გვ. 49). აი, სად აუჭია უსლარმა მეცნიერულ გზას. მკარამ ჯერ გაეყვით მეცნიერსა.

სანამ მოიყვანდეს თავის მიერ რუსულ ანბანის საფუძველზე შედგენილ კავკასიურ ალფაბეტს და ამის გვერდით ქართულ, სომხურ და სხ. ანბანებს, იგი წერს: „Чтобы устранивъ недоумѣнія, назовемъ находящійся въ первомъ столбцѣ алфавитѣ Кавказскимъ. Въ настоящемъ случаѣ онъ изображаетъ Грузинскій алфавитъ, и каждая буква его должна быть выговариваема, какъ соответствующая грузинскаго, следовательно, болѣе или менѣе отлично отъ произношенія, которое, по начертанію своему, имѣетъ она въ русскомъ алфавитѣ (იქ. გვ. 50).

აქ უსლარის აზრთა არეულობა (ნებისთია თუ უნებური, — ამის რა მოკახსენოთ) და ერთმანეთის წინააღმდეგობა აშკარათ მოჩანს: კავკასიურ ალფაბეტში, მისი აზრით, უნდა იხმარებოდეს რუსული (გამობ. ტულობის) ასოები, მკარამ გამოითქმით ეს ასოები ისე კი არ უნდა გამოითქვას, როგორც რუსულში გამოითქმებიან, არამედ ცოტათ თუ ბევ-

ჩათ განსხვავებულათ, ე, ი. სწორეთ ისე, როგორც მათი თანაბარი ქართული ასოები. თუ სისტემა ქართული მიიღო, თუ რუსული ასოები ქართულათ უნდა გამოთქმულიყო, მაშ რაღა დაშვავა გარეგანმა გამოხატულებამ ქართული ასოებისამ. ან რუსული ასო ქართულათ როგორღა გამოითქმის? აი, სწორეთ აქ ვიმოკრებთ, მოუვიდა უსლარის ანა მცენიერული საქციელით, რომელიც არ ღარჩა უშედეგით

უსლარის ანაწში და აგრეთვე იმაზე დამყარებულ სხვა-დასხვა ანაწნებში ერთა აქა-იქ ის ქართული ასოები, რომელთ ექვივალენტები რუსულში არ მოიძებნებინან. უსლარის შრომათა უკანასკნელ გამოცემაში ცხენიც გამოიკცეს და მათ ალაგზე დასვეს რუსული ასოები სხვა-დასხვა ნიშნებით შენამებულნი. ამ ბოლო ღროს კი უსლარის აღფაიტიან ალაგი დაიჭირა აკადემიკოსების რადლოვის, ვასილიევის და ზალუმანის მიერ რუსულ ანაწნის საფუძველზე შედგენილმა საზოგადო აღნგვის ტოჟშა აღფაიტმა, მაგალ. ლ. ლობატიწყის მიერ შედგენილი გრამატიკა და ლექსიკონი ყაბარდული ენისა ამ ანაწნით არის გამოცემული. ნიშნობლივ თვისებას ამ ანაწნისა შეადგენს სიმრავლე ნიშნებთა (ასოებს ზემოდან ან ქვეოდან) და ორი ასოს შეერთება ერთი ბგერის გამოსახატათ, ე. ი. სწორეთ ის, რაიცა ასე არ მოწონა თვითონ უსლარისა. (чрезърное употребленіе знаковь, — равно какъ возмущеніе двухъ буквъ для выраженія одного звука, — составляетъ явное несовершенство (ibid. с. 50).

აქვე დაფურთავთ, რომ ბ-ნ ა. ცაგარელს თავის მეგრულ ეტიმოლოგის ტექსტებში ნაწმარი აქვს ქართული ანაწნი, ხოლო მეგრულის ფონეტიკაში ხმარობს ლათინურ ტრანსკრიპციას. აკადემიკოსი შინდერი, რომელმაც გადაკეთა გერმანულათ უსლარის გამოკვლევანი კაცასიურ ენათა შესახებ, ხმარობს თავის (ლათინურ) ტრანსკრიპციას, მაგრამ ისე კი, რომ თითო ბგერას გამოხატავს თითო ასო (ნიშნებით სწორათ, რასაკვირველია). ფრიდრიხ მიულერი, პროფესორი ვენის უნივერსიტეტისა, კიდევ თავის საკუთარ ტრანსკრიპციასა (რასაკვირვ. ლათინურის საფუძველზე) ხმარობს კაცასიურ ბგერათა გამოსახატათ. ამ მცენიერის ტრანსკრიპციით ერთი ბგერა გამოიხატება სწორათ რამდენიმე ასოების შეერთებით.

ამ გვართ კაცასიურ ენების მრავალ და სხვა-დასხვა ბგერათა გამოსახატათ ერთ რომელსამე აღფაიტებ ვერ დამდგარან სწავლულნი და თვით აკადემიკოსების მიერ შედგენილი საზოგადო აღნგვის ტოჟშა აღფაიტიც, საუქრებელია, ისე არ გავრ-

ცულდეს, რომ საზოგადო და საყოველთაო საწმარე ბელი შეიქნას, რადგან (მისი პრაქტიკულ საწმარე ბლით გამოუდგვრობაც რომ არ მივილით საწმარე ევროპიელები ლათინურის საფუძველზე დამყარებულ ტრანსკრიპციის ყოველთეს არჩევენ და რადგან, რაც უნდა იყოს, ქართული ანაწნის, — რაკი ეს ერთხელ არსებობს, მითლათ უყურადღებოთ დატოვება მოუხებრებელია, როცა საქმე ქართულსა და ქართული გვარის დიალექტებს შეეხება. მით უფრო, რომ ახლა წამოყენებელია საკითხავი, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ურთიერთ შორის კაცასიური ენები და ამ ენებში იგულისხმება ხომ ქართული გვარის ენებიც.

ჩვენ ქართველებს, რომ კაცასიელ — მთიულთა აღფაიტი შემდგარიყო ქართულის საფუძველითა, — ამის გასაყვანათ ბეერი არც შე ვეძლიო და, ვგონებ, არც არა გავკეთებია რა. მარტო სიტყვა და რჩევა რას ვაჩიავებდა ამ გვარ შემთხვევაში.

იქნება ახლაც არ იყოს გვიან, რომ მიგაქცოთ ამ საქანს ჯგირფანი ყურადღება. ჩვენც გეყავს რამდენიმე სვეტილისტ-ფილოლოგები. ამ ისთანა მკოდნე პირთავან უნდა შემდგარიყო კამოსია, რომელსაც უნდა ეცისრა შედენია ისეთი აღფაიტისა, რომელიც გამომდგარიყო ყველა კაცასიურ ენებზე ტექსტების ჩასაწერათ, აღფაიტისა, რომელსაც უნდა გამოეხატა კაცასიურ მთიულ ენების ყველა ბგერანი. ამ მიზნისათვის ჩვენ გამოგადგებოდა ძველისა და ახალი ქართულის ყველა ასოები. თუ ახლებს არ გამოეიკონებლით, ზოგიერთ ქართულ ასოებს (ზემოდან ან ქვეოდან) დაჭირებოდა მხოლოთ ათოდნე ნიშნები და მეტი არაფერი *).

ამ გვარი ანაწნის მეოხებით, სხვა არა იყოსრა, შეგვეძლო შეგვედგინა შედარებით ლექსიკონი ყველა კაცასიურ ენებისა, შეგვეკრიბა ამ ენებზე მოლაპარაკე ერთა სახალხო ნაწარმოები (ლექსები, ანდაზა-გამოცანები, არაკები) ამათი ტექსტები გამოგვეცა და ესეთი მასლა მიგვეწდინა ევროპიელ სწავლულთათვის, რომელნიც იძულებულნი შეიქნებოდნენ მიექცათ მეტი ყურადღება ჩვენი ანაწნისა, ენისა და ლიტერატურისათვის. ამ სახით ჩვენ

* ეს ნიშნები ისე ვერ აჭრებულენ ქართულ ანაწნს: მაგალ. რომელ მთაველ ენას აქვს ორ ნაწნი ჯ, რბილი და მჟაბრი, რუსულთ, რადგან აქ ჯ არ არის, მაგრამ ჯ გამოსახატათ ორი ნიშანი იქნებოდა საჭირო, ქართულათ კი მხოლოთ ერთი.

დავებმარებოდით კაცისის ყოველ მხრივი შესწავლის საქმეს.

გარდა ამისა ასეთი ალფაბეტის შედგენით და მისი გამოყენებით, ჩვენ გავიცნობდით უკეთ ჩვენ მებრძოლ მთიულებს და ჩვენ თავსაც უკეთ გავაცნობდით იმათ...

ეიცო, სხვა რამე მიზეზებიც რომ არ აბრკალო-

ბდეს, ჩვენი სურვილი მაინც დარჩება ხმაღ მღაღაღებულისა უდაბნოს შინა, რადგან იმისი განხორციელებისათვის საჭიროა საშუალება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ბევრ მეტ და მცენებელ რამეებზე კი მოეპოვება, მაგრამ ამისთანა სასარგებლო საქმისათვის კი არა...

პეტრე-მარკოზ.

სხვა-და-სხვა ამბები

**

მფილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება ამბობენ იქნება დანიშნული 6 მაისისათვის გუბერნატორის ნება-დართვით. ამ საგანგებო კრებაზე თავად-აზნაურობა სხვათა შორის იმაზე ექნება სჯა თუ როგორ შეისყიდოს არწრუნისეული ქარვასლა.

*

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოთ არის დანიშნული 7 მაისს „ლატარია-ალეგრი“. იმედია საზოგადოება ჩვეულებრივ თანაგრძნობას არ მოაკლებს და ნიეთებს შეწირავს.

**

თფილისის სათავად-აზნაურო ბანკის კრება არის დანიშნული 9 მაისისათვის, დამფუძნებელნი წევრნი, რომელნიც მოინდომებენ საზოგადო კრებაზე მონაწილეობის მიიღებას, უნდა ერთი კვირით ადრე კრების დაწყებამდის წარუდგინონ ზედამხედველ კომიტეტს თავიანთი რწმუნებითი ქაღალდები.

ქართლ-კახეთის შეერთების ისტორიიდან*)

მივი ამილახვარი მეტათ მხნე მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, მას ჰქონდა დიდი ძალა: ერთი მხრით—მას შეელოდა ოსმალოს ჯარი; მეორე მხრით, გივი, როგორც ქართლის კანონიერი მიფის ინტერესის დამცველი, შემწეობას მოელოდა რუსეთიდანაც. ეს ორი გარემოება ამილახვარს დიდს ნუგეშს აძლევდა თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლაში. გივმა გავაზენა რუსეთს სანდო პირები და შეუთვალა ბაქარს და მის გეაროვნობას, მალე მოსულიყვენ საქართველოში. სწორეთ ამ დროს, როგორც წინათ იყო მოხსენებული, ბაქარი იღვა სა-

ქართველოს საზღვარზე—ყაბარღოში, მხოლოთ მან ვერ გაბედა ქართლში მოსვლა. ჩვენთვის ადვილი მისახვედრია, რა მიზეზით არ მოვიდა თავის სამეფოში. ბაქარი ჭკვიანი და გონიერი კაცი იყო და მალე შეიგნო თავის სამეფოს საქმის ვითარება. ის დარწმუნდა ნამდვილათ, რომ საქმეს უეჭველათ წააგებდა. მისი ქართლში მოსვლა უფრო ბევრს ზარალს მოუტანდა ისედაც დატანჯულ სამშობლოს, ვიდრე კეთილს, და ამიტომაც ბაქარმა ისევ რუსეთში დაბრუნება არჩია. არც იყო ბაქარი მოუსვენარის ხასიათისა, როგორც მისი მემკვიდრე ალექსანდრე. წყნარი და მშვიდობიანი ბაქარი ყოველთვის ერიდებოდა სისხლის ღვრას, კაცთა ჭლებს. ამ გარემოებათა გარდა, ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ მეფე თეიმურაზს დიდათ სწყალობდა გამაჩენილი ნადირ-შაჰი, რომლის გმირობამ მთელი ევროპის ყუ-

*) იხ. „გველი“ № 8.

რადღებდა მიიპყრო. ბაქარმა დაინახა, რომ ამილახვარის — შეილებების შემწეობით ის ევლარ დაიბრუნებდა თავის სამეფოს. სრულით იმედ-ვადაწყეცული, დაბრუნდა რუსეთში. თუმცა ეს ასე მოხდა, მაგრამ ბაქარის მოსაჩივრნი არ დაწყნარდნენ. მოათვე ამ საქმისა, გვი ამილახვარი იყო მეტათ დაუმშვიდებელი ხასიათის კაცი. იგი ხელმძღვანელობდა იმ მოსაზრებით, რომ ამღვრეულ წყალში უფრო მალე დაიქერდა თევზებს. ენერგიით საესე გვი დღე-ღამე სულ იმის მზადებაში იყო, რომ როგორმე დამარცხებინა კახეთის მეფე თეიმურაზი და მისი შეილი ერეკლე.

1744 წელს ოსმალის ჯარის უფროსს უსუფ-ფაშას და გიგს ამ გვიანი ბძანება მოუვიდათ ხონთქრისაგან; ზემო ქართლი ხომ ჩვენი არისო, ჩიბარეთ იმაზე და ალაზნის პირზე დადქით, იქ ლეკი შემოიპყრეთო, ხაზინა გაუყავითო და ქართლი დაიპოვითო*. ხონთქრის ბრძანება ოსმალებმა მალე ასრულეს; მათ მოიყვანეს დაღესტნის ბელადი მაღალი, გვართ შირვანელი და მიბარეს ბელაქანში გასაგზავნი ხაზინა. მაღალი იყო იმ დროს წარჩინებული პირველი ბელადი და ლეკები მას ემორჩილებოდნენ. ეს გამოჩენილი ბელადი გაუძღვა წინ ჯარს, რომლის რიცხვი 4,000 კაცი იყო, იმ მიზნით, რომ ლეკები დაექირაებებია. როდესაც ეს ჯარი მიუახლოვდა არაგვის პარს, მოულოდნელათ გაჩნდა ბატონიშვილი ერეკლე და შეუტრა გზა. — ერეკლე თავის ჯარით გამაგრდა არაგვის გამოღმა, აღმ-საველეთის მხრით. ატყდა თოფთა ცემა იმიერ და ამიერ. ვერც ერთი მხარე ვერ ბედავდა პირდაპირ ბრძოლასა. ბოლოს ერეკლემ უბძანა თავის ჯარს საომრათ მომზადებულიყო. ამ დროს მდინარე არაგვი მეტათ აღიდგებული მოდიოდა. მაგრამ რაც უნდა დამართოდა ჯარი მინც უნდა გაეყვანა არაგვი, მეტი რა ღონე იყო. პირველათ ერეკლემ შეაგდო თავის მარდი ცხენი აქაუბებულ მდინარეში და გავიდა. ჯარიც, სარდლის უშეშრობით გატაცებული, შეეკინდა მდინარეში და მიუახლოვდა მტერს. აქ მოხდა ცხარე შეტაკება, როცა ომი ძალიან შეხტრდა და მტრის ჯარი შეიწყა, სწორეთ ამ დროს ერეკლემ იხმარა თავისი ჩვეულებრივი ხერხი: მან დაუმოხა თოფი მტრის ჯარის უფროსს და თოფის დაცევისთანავე ბელადი მაღალი ცხენიდან ჩამოავლო. ოსმალის ჯარი დარჩა უსარდლოთ და თავზარდა-

ცემულმა პირი იბრუნა. ამ ვარემოებით ისარგებლა ერეკლემ, ბევრი მტრის მხედარი ტყვეთ წამოიყვანა და მთელი ხაზინაც მას დარჩა.

ეს ბრძოლა არაგვის ხეობაში, რომელიც მოხდა 1744 წელს, იყო პირველი შესანიშნავი ისტორიული გამარჯვება ერეკლესი. სპარსეთის შაჰ-ნადირის მალე შეატოვებდა ეს გამარჯვება ახალ-კახლ ქართველ სარდლისა. ფრიად მონარულმა ნადირ-შაჰმა გამოუგზავნა ერეკლეს შეწვევით ცხენი ოქროს ალკაშმულობით და ხმალი მძიმეთ მოქვილილი. ამასთანვე ნადირ-შაჰი უბოძა ქართლის მეფობა თეიმურაზს და კანეთის — ერეკლე ბატონიშვილს *) თუმცა შაჰის ფრანკით ქართლის მეფეთ დამტოვებდა თეიმურაზი, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით ისეთი ძალა არ ჰქონდა ამ ქვეყანაში, როგორც შეეფერებოდა ნამდვილ მეფეს. ზოგიერთ ქართლის ნაწილებში კიდევ ბატონობდნენ ამილახვარნი.

არაგვის ხეობაში დამარცხებამ დიდი თავზარი დასცა გვი ამილახვარს და მის ერთგულ ქართველებს. ესენი არ მოელოდნენ ამგვარ საქმის დაბოლოებას. თეიმურაზის წინააღმდეგათ დიდი იმედი ჰქონდათ ოსმალის ჯარისა. მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ იმისთანა გმირ სარდალთან, როგორც გამოჩნდა ერეკლე, ძნელი იყო ბრძოლა. ერთთერთი ნუგეში ქართლებებისა გახდა სურამის ციხე; ამ ციხეში გამაგრდა გვი თავისის ჯარით.

მეფე თეიმურაზმა დაიპყრო გორის ციხე და შემდეგ სურამს მიადგა.

თუმცა იერიშით ვერ აიღეს კახელებმა სურამი, მაგრამ ერთი ნაწილი ციხისა კი ააფეთქეს. კახეთის ჯარმა დიდათ შეაწუხა ციხეში მყოფი ჯარის კაცი. რა დაინახეს თავიანთი თავი ასე უნუგეშო მდგომარეობაში, ამილახვარი ოსმალის ჯარით იძულებულნი გახდნენ, ციხიდან გამოსულიყვნენ. ამის შემდეგ გვი ამილახვარი აღარ ეწინააღმდეგებოდა ქართლის მეფეს და პატარა ხანს დამშვიდდა. ქართლში ჩამოვარდა გარეგანი სიძულე. მაგრამ თეიმურაზის მტრებს არ ეძინათ, ისინი მეორეთ ვანდომას ემზადებოდნენ. აი, სწორეთ ამ დროს ისარგებლა თეიმურაზმა შემთხვევით, დაიჭირა გვი ამილახვარი და შეპყრობილი გაგზავნა სპარსეთში.

ა. გარსევანაშვილი

*) ცსოგ. კრეკლა II 481 ფ.

მ ა რ თ ე ქ ე რ ა



აროკკოს სახელმწიფო მდებარეობს აფრიკაში, ალკირის გვერდით და თვით საფრანგეთზე ერთი ორთხი დიდია. ჰაერი შეენიერია, ზამთარში არ იცის დიდი სიცივეები და ზაფხულში დიდი სიცხეები. ზუნებაც მდიდარია; ამბობენ დიდძალი ვერცხლი, რკინა და სპილენძი არის ჩაფლული მის მთებში; მაგრამ აქამდის ეს სიმდიდრე ხელშეუხებელია.

მიწა თუმცა ქვიშიანია — მოსავალი კარგი იცის. მისი შემუშავება კი ძველებურათ მიჰყავთ და მკაზური ბეჭე უცნაურ რამეს ხედავენ.

ერთი მათგანი ავიწიერს, როგორ ხნამენ ამ სახელმწიფოში მიწას: გუთანში იერსა და თხას აბამენ ერთთ. თურმე ეს გუთანი ოთხი-ათასი წლის წინეთ რომ ხმარობდენ იმისთანა არის, აქაიქ ცოტათი აჩიქნის მიწას და იმით თაედება, საცოდავობაა ამ მუშაობის ცქერა, მაგრამ მაინც ზოგჯერ დიდი მოსავალი მოუღიბთ, მეტადრე თუ სარწყავი აღვილია.

მაროკკოში ამბობენ ხალხი ათ მილიონამდის ცხოვრობს, მაგრამ ამის სინამდვილე საეჭვოა, რადგან იქაური ხალხი უარპყოფს სტატისტიკას.

მკვიდრ მცხოვე ებთა შორის ბევრა არაბები ცხოვრობენ, რომელთაც ხელში უჭირაეთ მთელი აღებ-მიცემობა. აქ ზანგებიც არიან — უფრო კი მუშათ, მოსამსახურეთ და ჯარის კაცებთ. ბევრი ურიებიც ცხოვრობენ დიდი ხნის დროიდან გადმოსახლებულნი. ევროპელებიც არიან, მაგრამ ცოტანი და ხალხი მათ არა წყალობს. მაროკკოს მკვიდრ ხალხს შეენიერი ასოვანი ტანის მოყვანილობა აქეთ. იმათში არც კაკლი, არც კუზიანი და არც უმსგავსათ სქელი კაცი არ მოპოვებთ. მხოლოთ ზოგჯერ შეხედებით თვალბ ამოთხრილებს და უცხვირო კაცებს, ესეც იმიტომ, რომ იმათი მკაცრი კანონი სჯის ასე.

იქაური ქალები პირანვეულნი არიან ყოველთვის და მათი სილამაზე საეჭვოა, რადგან მუდამ ხელგაუწმრელებათ, უპაეროთ ოთხში დამწყვეტულნი არიან. სამაგიეროთ ურიის ქალების სილამაზე შემჩნეულია ყველა მკაზერებისაგან: მათი მხიარული

თერთ-წითელი სახე, შავი მაყვალეით თვალბი და ლაზათიანი ტანის მოყვანილობა იზიდავენ ყველას.

მაროკკოში დესპოტიური გამგებლობა არსებობს; სულთანი არის სრული მფლობელი თავისი ქვეშევრდომებისა — უნდა აცოცლებს მათ, უნდა მოკლავს და ვერაინ ვერ შეგნება იმას, რადგან ციხე მოვლენილათ მიანიათ. მისი ყოველივე ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდება. სულთანის აზრით ხალხი უნდა იყოს ღარიბ-ღატაკი, დაჩაგრული და უმედური, მაშინ ველარ ვაბედავენ წინააღმდეგობას და სახელმწიფოში მყუდრო ცხოვრება იქნება. ამ საბაბით მთელ სახელმწიფოში ძლიერი ჩაგრავს უძღურს და სულთანი მათ ორიგებს.

სულთანი მთელი დღე განცხრომაშია, უმეტეს დროს თავის გარემოში ატარებს, რასაკერეველია ბევრს არას არაგებს თავის ქვეყანას. ყველა მიძინებულთა, წინმსვლელობა არ ეტყობა. სახელმწიფოში სულთანის კანონით არ შეიძლება საეპკროს შეტან-ვატანა, ამიტომაც აღებ-მიცემობაც ძალიან დაცემულია.

მაგრამ ერთ დროს ამ ქვეყნის ბედ-იღბალი სულ სხვა ნაირათ მიმდინარეობდა. მე-IX საუკუნეში მაროკკო განთქმული იყო თავის უნივერსიტეტით, თავის განათლებით.

ახლა ქალები ან გარემოში ჰყავთ დროს ვასატარებლათ და ან უყურებენ იმათ, როგორც მუშას, რომელსაც შეუძლიან პირუტყვის მაგიერობა გაუწიოს.

მაშინ სულ სხვა იყო: ქალები განათლებულნი იყვენ, ცოდნით კაცებს არ ჩამოუყარდებოდენ, უშულებაც ისეთივე ჰქონდათ, როგორიც კაცებს. რამდენიმე მათგანი პროფესორი იყო, ზოგმა მეცნიერებით გაითქვეს სახელი, თვით ამ უძველესი უნივერსიტეტის დამფუძნებელი ქალი იყო, სახელათ ფატმა. ქალებს საერთოთ ყველასაგან პატივი ჰქონდათ დამსახურებული და ოჯახშიაც შეჰქონდათ განათლება და ზნეობრივი გაუმჯობესობა. ყველას თვლი ექირა ამ უნივერსიტეტზე, ყოველ მხრიდან მოდიოდა ხალხი ამ მეცნიერების შესასწავლათ. ფრანგი, ინგლისელიც და ნემეციც.

ახლანდელი უნივერსიტეტი თუმცა არსებობს კიდევ, მაგრამ აჩრდილიდაა მაშინდელი უნივერსიტეტისა.



პარსიკოს სულთანი



გარემის პალი მარკოკოში

საყურადღებო ამბები

სასიერე, სამწუხარო ამბავი უნდა ვთქვათ გავითქვას „ქალის“ მკითხველებს. წარსულ 1894 წლის შობის კვირაში დამით, ვილაც ბოროტგანმზრახველმა გადასწვა და საჩხერეში ჩიხის საზოგადოების შკოლა და სასამართლო. ეს ამბავი მითაა სამწუხარო, რომ ვერ დავიჯერებდით და ვერც კი წარმოიდგენდით ჩვენს ხალხში, თუ გამოერეოდა ისეთი პირუტყველი გრძნობის მექანი, ისეთი გონება-ზნეობა ვათასსრებელი, რომ ერთთ-ერთ შკოლას, მთელი საზოგადოების აელა-დიდებას, პატარა სამყურანლო წყაროს, გონებითი დამბუნებიდან წამოამყენებელს, გაიმეტებდა, გადაწვამდა და ამით გაუქრობდა ხალხს მისთანა მბჭუტავ სანთელსაც კი, როგორც სოფლის შკოლაა, და დატოვებდა ხალხს უნუფეშო სასოწარმყვეთ წყვილადში.

მოგვსწენებთ შკოლების მახლობლათ სამიკრტოა ღუქნის განხნის ნებას არ იძლევა მთავრობა. ღუქნის ვაღებსათვის მოწმობა იყო საჭირო და მოწმობას სიდან აიღებდენ, თუ თავიდან ისეთს დამაბრკოლებელს მიზნეს არ მოიშორებდენ, როგორც შკოლაა. ამ ამბავს კარგა ჩაკვირება ეჭირება ვისგანაც ვერაის. ფორმალურ მოქმედება უნდა გვერდზე გადაიდვას, საქმის გამოძიებას გულ-გრძობათ მიმოკითხვა ვერას უშველის. სიმართლე კი მოითხოვს სასტიკათ დასაჯონ ისინი, რომელთაც ეს საქმე ჩაიდინეს, რადგანაც ასეთი გაუქუღმართებული ბუნება მით უფროა დასასჯელი, რომ ანგარიში მიუცემლათ სპობს თავის ლუქმისათვის ისეთ საგანს, რომელიც ვერის საკეთილდღეოთ საუკუნოებით არის მოპოვებული და დაწესებული.

ხალხი მასწავლებელს აზრადებს: „აბა, რა იქნებოდა, ქვეყანა გადაიქცა, მის შკოლის გამო, ზოგს სახლები ეჩრდილებოდა, ზოგს ლუკმა ეკარგებოდა, ზოგს რა და ზოგს რაა“. ზოგერთნი ამისთანა აზრსაც უმატებენ: „სულ მასწავლებლის ბრალიაო, რისთვის ცდება, ან თვითონ და ან ბავშვებს რისთვის აცდენსო, ხალხს შკოლა რათ უნდაო რა საჭიროა შკოლა საჩხერეშიო“ და სხვ... და ესეც ხომ არის, რომ საჩხერეში პირველი ადგილი ბანქოს თამაშს, კოჭობას, ლოთობას და ხანჯლობიას უყვია და ესეები უფრო მაშინ გაიდგმენ ძირს, თუ შკოლებს მოვსპობთ, ნაცლათ სა-

მიკრტოებს გავამრავლებთ და მაშინ ნახავთ, თუ ამ განათლებით დაწინაურებულს ქვეყნებს ვერ წამოვეწეით.

* *

აქიდანვე: ერთი სასიამოვნო ამბავიც. ასი თებერვლის დ. საჩხერეში ფ—ძის სახლებში შეიკრიბნენ ადგილობრივი შკოლის მასწავლებლები, ზოგერთი თ. წერეთლებიც, აგრეთვე სხვანიც, ასე ოცდახუთ კაცამდს და ჩამოაგდეს საუბარი სამკითხველოს საჭირაებაზე საჩხერეში და კიდევ ერთ ხმათ გადაწყვიტეს ითავონ სახლობა სამკითხველოს გამართვა. გამგეობა და დასრულება ამ საქმის მიანდევს კნინა ნ. წერეთლისას, რომელიც იმედი გვაქვს, გულწრფელათ მოეცილება ამ საქმეს და კეთილათ დაასრულებს. ამ დღევე გამართეს ხელის მოწერა სამკითხველოსათვის თანხის შესადგენათ და დამსწრეთა კიდევ მოაწერეს ხელი შეწირულობაზე. აი საც ხელის მომწერთათ: თ. ბ. წერეთელმა—10 მ., დ. აბაშიძემ—10 მ., თ. გ. ს—ძე წერეთელმა—5 მ., თ. ა. ს. წერეთელმა—10 მ. ქახოსრო ქავთარაძემ—15 ცალი სხვადასხვა ქართული წიგნები, ს. ნ. წერეთელმა—3 მ., ს. ნ. ჯაფარიძემ—3 მან. ისანდ ღამბაშიძემ 7 მ., ალექსანდრე დ—ძე ჯაფარიძემ—3 მან., იოსებ მაჭავარიანმა—3 მან., ე. გ. აბაშიძემ—5 მან., მღ. ა. იაკობაშვილმა—3 მ. და ქართული წიგნები, თ. გ. ე. წერეთელმა—5 მ., ნ. ს. გოდაბერიძემ—3 მ., ე. აბაშიძემ—5 მ., ს. აბაშიძემ—3 მან., ე. გ. ჩიკვაძემ—5 მ., ე. ჩხეიძემ—5 მან. ე. კ—ძე აბაშიძემ—2 მ., თ. გ. წერეთელმა—3 მ., მარქარ საათოგმა—2 მ., ისიდორ გამყრელიძემ—2 მ., ს. ნ. აბაშიძემ—3 მ., თ. გ. წერეთელმა—10 მ. ა. ი. აბაშიძე—3 მ. და მიხაილ მაჭავარიანმა 5 მ. დიდი მადლობას ღირსნი არიან ეს პატივცემულნი პირნი, რომელთაც ამისთანა კეთილი საქმისთვის, როგორც სამკითხველოა არ დამწერეს და ქართველური გულ-უხეხობით გულწრფელათ მოეციდენ და ქონებითაც დახმარება აღმოუჩინეს. ვისურვებთ ამ პირველს ნაბიჯს საჩხერის ცხოვრებაში, კეთილი ნაყოფი გამოეღოს, რაზედაც დიდი იმედი გვაქვს, რადგანაც, ამ საქმეს, მეთაურათ სწორეთ შესაფერი თანამგრძნობელი ყოალება; აგრეთვე ვისურვებთ ამ საქმისათვის კიდევ მეტს შემეწეთ თანამგრძნობელთ, რადგანაც რომ მტკიცე საფუძველი ექმნეს, აღნიშნულ თებერვლის რიცხვს შემდგარი ძალა არ ყოაუა. შემოწირულობა ამ საქმისათვის მიიღება, როგორც ფულებით, აგრეთვე

წიგნებითაც, რაზედაც ყოველთვის იქმნება გამოცხადებული ერთ რომელიმე ქართულს გამოცემაში. შემოწორილება უნდა იგზავნებოდეს სამკითხველოს გამკეთ ამორჩეულ კნ. ნ. წერეთლის სახელზე და საჩხერეში. მიემართათ აგრეთვე და ეთხოთ კველა გამოცემათა რედაქციებს არ დამოჭრონ თითო ეგზემპლარი თვის გამოცემათა ამ სამკითხველოს შესაწირავათ, რაზედაც დიდათ მადლობელი დაერჩებოთ მიიღო ამ კუთხის მცხოვრებლები.

ქ. იანჭინდელი

* * *

დ. ჭიათურა. ქიათურაში ეს ორჯელ გამართეს წარმოდგენა აქაურ სცენის მოყვარულთა საქველმოქმედო აზრით. ამ წარმოდგენებს ხალხი ბოლოთა ესწრებოდა და კიდევ ნასიამოვნები დარჩენ, მით უფრო, რომ საღაღც მივარდნილ კუთხეში ასე მოხდენილათ წარმოდგენები გაემართათ. მადლობის ღირსნი არიან ყველანი, ვინც ამ წარმოდგენებს ასე თუ ისე თანაუგრძნეს; დიდათ ემადლობთ განსაკუთრებით მ. ბაკაძის, კ. და ი. წერეთლების და ან. მდენის ასულთ, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენებში. მიუხედავად იქვე ამინდებისა, სამი-ოთხი ეერსის სიშორიდან მოდიოდნენ მეტათ ცუდ სავალ გზებზე. იმედია, შემდეგშიც ამისთანა კეთილ საქმეს არ დაადგებენ და შეძლების და გვარ დახმარებას აღმოაჩინენ. პირველი წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი ა მ. მ. ვადაცა სამრევლო შკოლის ზედამხედველს ბ. დ—შს შკოლის სასარგებლოთ და მეორიდან 30 მან. კი გადადგეს სახალხო სამკითხველოს დასაარსებლათ. ქიათურაში. კიდევ ფიქრობენ ხელის მოწერა გამართონ. ღმერთმა ჰქმნას ეს აზრი განხორციელებულიყოს ქიათურაში. ვისურვებთ ეს საქმე სასარგებლოთ დამთავრებულიყოს და ასეც იქმნება თუ გულწრფელათ მოინდობებენ.

* * *

ს. ჭიათურა. ს. ქიათურა არის უმოთარესი პუნქტი, სადაც გროვდება ერთი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეთაგანი შავი ქვა და საიდანაც იგზავნება იგი—ქვა საზღვარ-გარეთ. ყველას მოგვხსენებათ, რომ დიდი ხანი არ არის მაინც და მაინც რაც ეს სიმდიდრე აღმოჩნდა, მგარაწ ნიეთიერთა კი ძალიან წინ წასწია, როგორც თვითონ ეს სოფელი, აგრეთვე სხვა

ახლო-მახლო და მოშორებით სოფლებიც. მიუხედავად მისა, რომ წელს ევრაუერი ბაზარი აქვს ჩვენ ქვას, აქამდის მუდამ ტრიალობდა და ახლაც ტრიალებს აქ დიდძალი ფული შედარებით. ასე რომ თუ ერთ, არამც თუ დაბასა და სოფლებში, იდღ ქაოქმიაც არის კაპიტალი და მოძრაობა, სწორეთ ქიათურაშიც იგივეა. მიუხედავად მისა, რომ ქიათურაში სწორეთ კარგი ნიადაგია ქიათურას გაუმჯობესებდათვის ეს სოფელი ახლაც და უმეტეს აქამდის არის და იყო უკიდურეს მდგომარეობაში. არც გზები, არც ხეირიან ნიადაგზე დაყენებული შკოლა (თუმცა შკოლა არის მართლა, მაგრამ საძირკველი სილაზა ამოყვანილი), არც წინთსაკაცი, არც არაფერი სხვა რაიმე, რასაც შეუძლია წინ წაწიოს მკვიდრთ მდგომარეობა. მეოანი ქეშმარიტებათ უნდა ჩითვალოს ის აზრი, რომ პოლიციას ყველაზე უფრო შეუძლია და მოვალეობაც მისია, რომ იმისთანა საქმეებში, როგორც არის გზების გაკეთება, სისუფთავე ბაზრის და სხვ. თავი იჩინოს; მჭკრამ წინანდელ პოლიციას არც კი უფიქრია ამაგზზე, მხოლოთ ეს ერთი წელიწადი არც კია ჯერ, რაც აქ მოვიდა ერთი ბოქაული ბ. არღშვილი, რომელმაც ასე თუ ისე, ყურადღება მიუქცია ყოველისფერს და მხოუდა ქიათურის გაუმჯობესობას მცხოვრებელთა ხარჯით. რისი გულსთვის მას ბან არღშვილს დიფირამბებიც უძღვნეს ზოგმა „კელის“ და „იერიის“ შეწყობით. მაგრამ საზოგადოებას არაფრათ ესეიმონეთ მაინც და მაინც ასე გაურსაზღვრელი ქება ბან არღშვილისა და ცოტა არ იყოს უკმაყოფილებას აცხადებდენ მასზე ზოგიერთი საქმის შესახებ. რასაკვირველია უკმაყოფილება მანამდისაც ჰქონდათ გულში, მაგრამ ეს შემთხვევა, გაზეთში ქება მიზეზათ დაიდვა და მანე ამენდა უკმაყოფილება. ეს უკმაყოფილება, რასაკვირველია, გარე ბოქაულმა და ძალიან ვაჯავრდა. ამისთვის სიმართლის ასადგენათ და ზოგიერთ კითხვების ასახსენლათ საზოგადოების თანხმობით ეწერ ამ მცირე შენიშვნას და გკითხავთ „კითხვა აუცი არაა“ ნათქვამია—ზოგ რამეს, როგორც ბან არღშვილს, ისე სხვებს საქმის მკოდნეთ და იმედია სასურველ პასუხს მოგვეცემენ:

- 1) (ყველას) აქეთ თუ არა ნება კანონის აღმასრულებელთ შეაწერონ მცხოვრებლებს გადასახალი (подати).
- 2) სად მიდს და რა დანიშნულება აქვს ამ ფულს?
- 3) აქვს თუ არა საზოგადოებას მოთხოვნის მას

ბოქაულის ყოველივე ანგარიში შეკრებილის ფუ-
ლისა?

4) ვალდებულია თუ არა, რომ ბოქაულმა ყო-
ველივე ღონისძიება იხმაროს, რომ არაფერი ბოროტ-
მოქმედება მოიმოქმედონ შემგროვებლებმა ფულის
შეგროვების დროს?

ყველა შემოხსენებული კითხვები გამოიწვია
შემდეგმა. ეს ნახევარი წელიწდი (თუ არ ეცდებო-
ბით), რაც ბ-ნმა არღიშვილმა შეაწერა აქაურ მუ-
შებს გადასახადი ცხენზე კვირაში ორი შაური (10
კაპ.). იმ აზრით, რომ როგორც ამბობდა თვითონ,
რამე კეთილი საქმე უნდა გაეკეთებია, მაგრამ სა-
ზოგადოებამ დღესაც არ იცის სად არის ეს ფული,
ან რა უნდა გაკეთდეს მითი, ან რამდენია ამისა-
თვის უსაჭიროებათ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებას,
ვისიც ჯერ არს ბასუბი გაცეს შემოაღნიშნულ კი-
თხვებზე, რომ უკმაყოფილება არ ჩამოვარდეს. სასუ-
რელია საზოგადოებას ხმა ჰქონდეს ამ მოგროვილ
ფულების მოხმარებაში,

შემოური სისხანდი

დ. ლანჩხუთი. (ოაზურგეთის მახრა). წარსული
წლის 28 ოკტომბერს ბ ნი მახრის უფროსის ბრძა-
ნებით თავი შეიკარა ლანჩხუთის სასაფლო კანცე-
ლარიაში ყველა წოდების კაცმა და ფიცი მიიღო
იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ერთგულებაზე.

ფიცის შემდეგ როცა ხალხი ხელის მოსაწერათ
შედიოდნენ, რალაც ყვირილი შეიქნა, მიციინდნენ
და ნახეს ის კაცი, რომელიც ჰყვიროდა: „ჯი-
ბეში ფული მქონდა და ელამაც ჯიბე მომაპრა და
ფულიც წაიღოვ“.

ეს კაცი იყო ყარაული პოლიციისა. ოაზურგე-
თის „უპრაველენის ჩინოენიკმა“ ბ-ნმა გ. ქიქოძემ
მთა ჯამაგირი 14 მანეთი. როცა ხელის
მოსაწერათ მიდიოდა ფიცის შემდეგ, ნა-
ხა რომ ჯიბე მოქრილი ჰქონდა 24 ფული წოდებუ-
ლი იყო. დარჩა საწყალი გლეხი უიმედოთ, ვერ გა-
იგო ვინ მოჰპარა ფული.

არ გასულა ამას შემდეგ ოთხი დღე: 30 ოკ-
ტომბერს კვირას მოახდინეს ყრილობა რო-
გორც ყოველ კვირას, მაგრამ რა დროს? ყრილო-
ბა ყოველთვის სადილს შემდეგ ხდებოდა და
დღეს-კი „მოსე მწერლის“ *) ბრძანებით სადილო-

ბამდის მოახდინეს, როგორც წირვა გათავ-
და მაშინვე.

იმ დროს მამასახლისის თანამდებობას ასრუ-
ლებდა მამასახლისის თანამშემწე, რომელსაც არაფე-
რი გაეგება ქართულისა არამც თუ რუსულს მიმ-
ხედარიყო. მოსე მწერალმა* მოატყუა და უჩვენა
ერთი ფურცელი რალაც რუსულ ენაზე დაწერილი
და უთხრა: ეს ქალაქი მახრის უფროსისგან არის
გამოგზავნილი, რომ უნდა შეგვეკითხოთ საზოგადოე-
ბას და გამოუცხადოთ რაც ამ ბრძანებაში წერიაო.
აი, ჯერ შენ წაიკითხე და მერე საზოგადოებას.

28 ოკტომბერს რომ ფულის დაკარგვა განა-
ხდა გლეხმა ს. ცინცაძემ (იმ გლეხის სახელი და
გვარია, რომელსაც ფული დევკარგა). თუ არ დაამ-
ტკიცოს ამ ფულის დაკარგვა და ხალხს უბრალოთ
ცილი დაწამა, ამის გულისთვის სასჯელი ვადაუწყ-
ვეტეთ საზოგადოების დაკითხებითო...

როცა ეს ამასახლისმა მოისმინა, ისიც უფ-
რო მკაცრათ მოვიდა ამ საქმეს.

არის საზოგადოება თავმჯდომე 500 - 600
კაცამდე და საუბრობენ სხვა-და-სხვა ამბებს, „მოსე
მწერალი კი გიძახის—სულთ! აბა, მოისმინეთ ბ-ნი
მახრის უფროსის მოწერილობაო... საზოგადოებამ
გაკიინდა ხმა და ყველანი სმენათ ვადაქცენ, გულ-
მოდგინეთ ელოდენ „მოსე მწერლის“ ბრძანებას.
„მოსე მწერალი“ წამოადგა კანცელარიის პარხანზე,
რომ ხალხს კარგათ დაენახათ ის და გამოუ-
ცხადა შემდეგ:

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა !

28 ოკტომბერი. ლანჩხუთის მამასახლისო, გა-
მოუცხადე ყველა ლანჩხუთის მცხოვრებთ, რომ 28
ოკტომბერს ფულის დაკარგვა განაცხადა გლეხმა ს.
ცინცაძემ. ჩვენის აზრით თვითონ ს. ცინცაძეს მოუ-
პრა ჯიბე და ფული დაუმალავს, რადგან ბევრი
მოვალეები ჰყრიდა, ამისთვის ვადალვე საზოგადოებას
იმ ნებას, რომ აწნაირი ცილი თუ დაწამა ხალხს
ამისათვის, ვადაუწყვიტონ სასჯელი გლეხს ს. ცინ-
ცაძეს თვითონ საზოგადოებამო. (აქ მოკლეთ მო-
გვეყვს ის ბრძანება, რომელიც „მოსე მწერალმა“
გამოუცხადა საზოგადოებას.) ხალხი ლაპარაკი და
ჩოჩქოლი ატყდა: ნუ თუ მაგ დანაშაულობაა,
რომ კაცი ფული დაკარგვია და კიდევ სასჯელი
უნდა ვადაუწყვიტოთო, —ამბობდენ ზოგიერთები.

„მოსე მწერალი“ იძახის აბა, გვიპასუხეთ ჩქარა რა ვადა-
უწყვიტოთ! 500 კაციდან გამოვიდა 5-6 კაცი რომლებ-
მაც დაიძახეს: გლეხს ს. ცინცაძეს აწნაირი ცილისწამების

*) ეს ის „მოსე მწერალი“ა, რომელიც განსვენებულია გ. ბ-
ნინოშვილს ჰყავს მოკვანდით თავის მოათხრობაში.

გულისთვის საზოგადოებამ გადაუწყვიტეთ დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან, აეხადოს ყოველდღე ღირსება და ორი დღე-ღამე სოფლის ნაობაბტში იქმნას დამწყვედელიო.

როცა ეს „მოსე მწერალმა“ მოისმინა ჩამოჯდა სკამზე და დაწერა პრიგავორი: 1891 წელს ოკტომბრის 30 დღესა, ჩვენ ღანხუთის მამასახლისის თანამდებობის აღმასრულებელმა ხ. აფხაძემ, მოწერილობის ძალით ბან მატრის უფროსისა ე.წ. (ნომერი 3) ჩადაწავს ნამდვილი რომ ვთქვათ, მოწერილობა არ ყოფილა მატრის უფროსისგან, არამედ თვითონ „მოსე მწერალს“ შეეძგინა ეს) ყრილობა მოეახდინეთ ს. ცინცაძის ფულის დაქარგვის თაობაზე და რადგანაც ს. ცინცაძემ ვერ დამტკიცა ჯიბის მოჭრა და ფულის დაქარგვა, უბრალოთ ცლილ დაწამა საზოგადოებას, ამისათვის საზოგადოებამ ს. ცინცაძეს გადაუწყვიტა დათხოვნილ იქმნას სამსახურიდან, აეხადოს ყოველდღე ღირსება და ორი დღე-ღამე სოფლის ნაობაბტში იყვეს დამწყვედელიო. ძალით თუ ნებით მოსე მწერალმა ამ გადაწყვეტილებაზე ბეჭედი დაასმევინა ყველა პირებს, ვისაც საჭირო კი იყო. შემდეგ გაიმართა ხელის მოწერა და 500-600 კაცებში გამოჩნდა, რომ მართა 10-12 კაცმა მოაწერა ხელი. მერე როგორც ამბობენ, ღამ ღამ იარებოდა „მოსე მწერალი“ სოფელ-სოფელ, რომ მოეწერიებინა ყველასთვის, მაგრამ ყველანი ამნაირი პასუხით ისტუმრებდნენ: „რა დაშავა, მოსე იმ კაცმა, რომ აგრე უმოწყალოთ გიკიდები და იმის ღირსების ახდის გულისთვის ძალით მაწერინებ ხელს! მე კი

არ მოაწერე და სხვებმა როგორც უნდა ისე ქნან. ასე ამნაირი პასუხით ისტუმრებდნენ ყველა „მოსე მწერალს“ და თუ ვინმე ხელი მოაწერა, ან მოკეთებდა იყო „მოსე მწერლის“ და ან მტერი ს. ცინცაძის. „მოსე მწერალსაც“ კი ჰქონოდა მტრობა ს. ცინცაძისა, რაღაც კიდევ მისი სამშაბრი მწერლობის გამო, და იმისათვის უპირებდა იმას სამამასახლისოდან გადასახლება!

რადგანაც „მოსე მწერალმა“ გადაწყვეტილებაზე, ხელი ეწერა მ. აწერინა, თავისი სურვილი გაუტარებდა. იმას შემდეგ რაც ეს ამბავი იყო კაცებმა მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს; რომ როცა ფული დაეკარგოთ არ გაგინყრეთ ღმერთი და არ გამხილოთ, თეარა ხომ იცით „მოსე მწერლის“ კანონები, მაშინვე ღირსებას ავხდისთა.

მეც ძალიან ვეშოშობ, არაფერი ხიფათი არ დამიგოს ამის დაწერის გულისთვის და ღირსება არ ამხადოს.

ასე ამნაირათ შეშინებული ყვევართ „მოსე მწერალს“ ყველანი და ამის შიშით ენა ვერ დაგვიძრავს.

გვიკირს, რატომ მთავრობა არაფერს ყურადღებას არ აქცევს ამისთანა კაცს, რომელიც ჰყვლფეს და ცარცავს დაბალ ხალხს და უმწარებს ღარიბ საზოგადოებას სიცოცხლეს.

გალა

ს გ ი მ ო ნ ხ ე ლ ი

(ისტორიული მოთხრობა)

VIII

შემდეგ *



ვიმონი ჯალაბობით გორს დაბინადდა და შეუდგა სამეფოს წესში მოყვანას. მალე ყველგან იგრძნეს, რომ ძალის მექონი ხელი მმართველად სამეფოს, ხალხსა თავისუფლოთ ამოისუნ-

თქა. სამეფოს მართვაში იმის ერთგული მსახური შეიქნა ქთალიკოზი ნიკოლაოზი, რომელმაც თავის გონიერებით დიდი სამსახური გაუწია სვიმონ მეფეს. ხალხის პირში ზღაპრულ გმირათ გადაიქცა სვიმონი.

სვიმონმა რომ იგრძნო თავისი ძალა, მოისურვა დასჯა ბარძიმ ამილახერისა, ელიზბარ ქსნის ერისთვისა და ზოგიერთი სხვებისა, რომლებიც დამნაშავეები იყვნენ იმასთან. მეტადრე აუცილებელი იყო ამილახერის და ერისთვის დასჯა, რადგან დიდი თავხედობა, დიდი შეცდამა მოუვიდათ მეფის სახლობის წინააღმდეგ. დამნაშავეებს ეახტანგ მუხრან-ბატონი გამოეხარა, მაგრამ სვიმონმა მტკიცეთ დაიცვა და შესასრულა თავისი სურვილი; მუხრანბატონი ევეზის ციხეში დაამწყვედევინა, შეიპყრა ბარძიმ

*) იხ. „გალა“ № 16.

ამილანხარიც და ისე მარჯვით წაიყვანა საქმე, რომ დამნაშავეებმა ბოღში მოიხადეს ღედღფალოთან, დააბრუნეს რაც წაელოთ იმის სახლიდან, თხოვეს ეპატებიონა შეკოდება, შეგვეწუნე ეშუამდგომლა ხემწიფესთან. სეიმონმა შეიწყნარა დედოფლის შუამდგომლობა, აპატია სამივეს დანაშაული, მხოლოდ დაარბია ერისთავი და ამილანხარი.

მავე დროს მეფე თვალს არ აშორებდა მტერს. თბილისს შეურკა უმთავრესი გზები, უნდაღა შიმშილით შეეწუებინა ქალაქი და ისე აეღო. აგრეთვე სასტიკით აღედგებდა თვალყურს, რომ იარაღი არსადან მიეწოდებინა ოსმალებს თბილისის ციხისათვის, უფრო არ გაემჯარებინა ის. ამგვარ გვიქმედებაში გავიდა სამი წელიწადი.

სეიმონ მეფე ამ ხნის განმავლობაში, თითქმის ყველა საქმიდან გამარჯვებული გამოდიოდა, ყველა საქმე წაღმართათ მიუღიოდა იმას. ამ ხანს თავის მეფობის ნათელ დროთ ჩათვლიდა, რომ ალექსანდრე კახთბატონს არ ეტყინა იმისთვის გული: ის ღალატით დაეკა მეფეს და მოინდომა სასაცილოთ გაეხადნა იმისი სახლი. მართალია სეიმონ მეფემ კოტორთან ძლიერ შეანანა იმას თავისი უშეგრი ქცევა, მაგრამ გული მაინც ვერ გაემთელებინა.

— უმსაგესი საქმე ჩაიდინა, სხვას რომ ექნა ის საქმე, თითონ იმას უნდა ეძია შური, რადგან უცხო არ არის, ძმა არის ჩემი მეუღლისა, ერთი მამის ნაშობები არიან, იტყადა ხოლმე ის დაღონდომილი და დატანდა: თავის ღლეში არ დამაწყურებდა!

როცა ჰკითხავდნენ, კოტორთან ომს შემდეგ რატომ არ მიჰყვა გაქცეულ ალექსანდრეს ფეხდაფეხ, რატომ არ შემოაუერთა კახეთი თავის სამეფოს, ის მიუგებდა:

— მე მარტო ის მიწილია, რომ ალექსანდრე დამესაჯა თავის სულელური ქცევისათვის, დამენახებინა კახელებისათვის იმისი სულმძაბლობა, იმისი ღაწრობა. კახეთზე გალაშქრება კი ახლა სიკეთეს არ მომიტანს. ჯერ ოსმალები უნდა გაედევნო საქართველოდან და შემოაუერთო იმერეთი შავ ზღვაშდის, რადგან იქა აქეთ ოსმალებს ფეხი მოკიდებული, იქა აქეთ ზურგი გამაგრებული. კახეთს მერმეტ შემოვიერთებ. გარდა ამისა კახეთის დაპყრობა შპს ეწყინება, მე კი არა მსურს იმისი ამტკიცება. მართალია ალექსანდრე თავისას არ იშლის, ფიქრობს ყაენთან ჩემი დაბეზლებით ფონს გვიდეს, მაგრამ მე ყოველთვის შემოძლია სპარსეთი ჩემკენ ფიყოლიო; სპარსეთს ჩრდილოელი არწივისა ეშინია, არ უნდა,

რომ საქართველოს იმისი იმედი ჩაეურდეს გულში, მე კი არა მსურს საქართველოს შეეარდნენ იმ არწივის შეეფაროს ფრთებ ქვეშ.

მართალიც იყო ეს. ძალით რომ ეერა ვახუშტი კახთბატონი, დაუწყო სეიმონ მეფეს ყაენთან ბეზლობა და ორგულობის დაწამება. ამ ბეზლობის გამო სპარსეთის სარდალმა მირზა-ფეხლურანმა, როდესაც 15-1 წლის დამდეგს ოცი ათასი კაციით წინ შეეგება ოსმალების მეშველათ მოსულს ყირიმის ლაშქარს, მოთხოვა სეიმონს დემტოციებინა სპარსეთისთვის ერთგულობა, მაგრამ ამ გარემოებაში, — თუმცა სეიმონმა ხარჯი დაიდო სპარსეთისა და მიმეღებოც მიცა, — ხელი ვერ შეუშალა მეფეს, პირაქით იმან თავის სასარგებლოთ გამოიყენა ეს შემთხვევა.

IX

1581 წელს, ლეინობისთვის გასულს, სეიმონ მეფე თავის სახლობით ლილოში ბრძანდებოდა. კარგი დარები იღვა და მეფემ გასართობათ წამოიყვანა ქალები, თუმცა ჯარიც კი ახლდა თან, რადგან თბილისს არ აშორებდა თვალს, არა სურდა გაეშვა რომელიმე მარჯვე შემთხვევა და არ ესარგებლა თბილისში მომწყვეტული თათრის ჯარის შესაწუხებლათ.

მეფე მეტათ მოღბენით იყო: ღღეს ერთმა მუჟა იმისმა ჯარმა, არამც თუ მთელი ნახირი მოტაცა თბილისში მყოფ თათრებს, თითონ ისინიც ღდიდა დააზარალა, როცა გაბედეს და მოტაცებული საქონლის დასაბრუნებლათ ქალაქიდან გამოევიდნენ.

მეფის სახლობას ახლდნ თან საინო თავის ჯალაბობით, არჩილ მუხრან-ბატონიშვილი თავის ცოლ-შვილით და რამდენიმე სხვა წარჩინებულენი.

— აღარ დაწყნარდა ხალხი! მეტადრე ქალები! ნეტა რატომ არ იღლებინ ამდენი ცეკვით? ბატონიშვილმა ელენემ მოიხიარულა, კარგა ხანა არ მიწახავს ის ასე გამხიარულებული. მხედრობა ხომ ისეთ ალტაცებაშია, თითქოს მართლა აეღოს თბილისი, შოახსენა სახლთ-ხუცესმა, რომელიც დარბაზში შემოვიდა.

— თუ მცოდნოდა, რომ ასე გვიმარჯვებდით, განა ვერ შევიდოდით თბილისშიც! მაგრამ იმ ერთი მუჟა ხალხით, ისიც საღღესასწაულოთ წამოსულით, ხომ თავებდობა იქნებოდა ჩემი მხრით! თქვა არა ჩილმა.

— მეფის ბრძანებით ჩვენ მარტო საქონლის მოტაცებას ვაპირებდით თბილისის მიწოდებებიდან. აბა, რას მოვიფიქრებდით, რომ თარეში ასე გამარჯვებულ ომით გადაგვეტყუა, ჩამოართვა სიტყვა ისაგემ.

— როცა დაიბახეს, ჩვენებმა საქონელი დიარეკის, მაგრამ ქალაქიდან დიდძალი ხალხი დაედევნაო, ჩვენ, ქალებს, კინაღამ შიშით გული შეგვიწუხდა, ბძანა დედოფალმა.

— არა, მეც კი შევეფიქრინდი: აძლენ ქალყმაწილის ისე უფროსად სარ მივმალავდი, მაგრამ ღმერთმა გამარჯვება მოგვცა და იმეღია, დღეს თუ ხვალ თბილისსაც ავიღებთ. ახლა კი სხვა სამძიმო საქმე მაქვს დასაბოლოებელი, მსურს ვისარგებლო ამ შემთხვევით, რომ ერთად ვართ და რჩევა გკითხვით. ამისათვის გავსარჯეთ თქვენც, ყოვლად უსამღედელთაგან, მიუბრუნდა სვიმონი ქათალიკოზს,

— ყოველთვის მზათ ვარ გემსახურეო, ბატონო მეფე, მიუგო ქათალიკოზმა.

— გვიბძანეთ, ბატონო, მოახსენა საჩინომ; ხომ დარწმუნებული ბძანდებით, რომ სისხლს დავლერთ თქვენთვის.

— არა, ჩემო საჩინო, დღეს სავმირა სავანზე არ მიღდა მოკვლასაკრავით, უთხრა მეფემ ბაზათაშვილს და მიუბრუნდა ყველას.

— მსურს დღეს მონაწილეობა მიიღოთ ჩემ სოჯახო საქმეში, რადგან ეს საქმე სამეფოს ბედთან არის დაკავშირებული. თქვენისთანა ერთგული და გამოკდილი მე არავე მყავს, მიღდა გავიგო თქვენი აზრი. ჩემი ქალის ბედზე ვამბობ. ხომ გაცნობეთ მაშინ, რომ ჩემ ელენეს სპარსეთის ყაენი მთხოვს მეუღლეთ თავის შვილის ჰამზად-მირზასათვის. ახლა კიდევ სხვა სასიძო ამჩინდა. გუშინ რომ წერილი მომართვეს, მანუჩარისაგან იყო, ყვარყვარე ათაბაგის ძმისაგან. იხვეწება სიყვარულს ნუ გამოაშვირავ, ელენე მომეცია. თქვენ რას იტყვით ამაზე?

— მე აღრევე ვფიქრობდი, რომ ეგ საქმე აგრე უნდა მომხდარიყო. უფრო მაშინ დარწმუნდი, რომ, როცა თქვენ სპარსეთიდან მობრძანდებოდით, მანუჩარი ისე მკითხავდა ბატონიშვილის ელენეს ამბავს, ისე გავხარდა, როცა მახარობლათ ის ამოვიჩინე, რომ მაშინვე ვიგორბენი, რა ჯაჭვით იყო იმისი გული შებოკილი,—თქვა საჩინომ.

— მანუჩარი რომ აღისიძოთ და შემდეგ ათაბაგათ დასეთ, მაშინ საათაბაგო თითქმის შემოგორთებულათ ჩათვლენა, თრიალეთის მხრით საქართველოს ზურგი გამაგრებული ექნება. რაც შეეხება

ჰამზად-მირზას სიძობას, ამაზე ხომ მაშინვე გავკადნიერდით და მოვახსენეთ: თქვენ ხელში საქართველოს ისეთი არა უჭირს რა, რომ სპარსეთს დაბლათ მოაუხაროს თავი, უფარ ვერ გაუმეღოს და თავისი საყვარელი მეფის ქალი უცხო ტომს მიცეს, მიუგო არჩილმა.

— დახავ! დახავ! არც შემდეგ გაუჭირდება საქართველოს, სანამ თქვენ შილათა გვეყვებით. მანუჩარი დღეს ჩვენია, ქართველია, ქალ-ყრმასაც უყვართ, როგორც ციკით ერთმანეთი, ცოდვანი არიან დააშორებთ ერთმანეთს. მგზავს მთვარე მთეშორას, დილითვის დაცასკნების. მიუგო სახლთ ხუცესმა.

— მადლობა ღმერთს! იქნება ეღიროსო და ენახო საქართველო ისე გაერთეული, წმინდა გულესია აღორძინებული, აყვავებული, თქვა ქათალიკოზმა.

— იმისთვის უფრო სასიამოვნოა მანუჩარის მოყვრობა, რომ სამეფოს სარგებლობის ვარდა,—ეს უფრო თქვენი საქმეა,— ჩემ ელენეს დიდი ხანია მოწონს მანუჩარი, ვაჟს ხომ გავიყვებით უყვარს ელენე. ამ ბოლოს დროს სწორეთ იმაზე ჩემი ელენე დაღონებული, რომ ფიქრობს, ვი თუ სპარსეთს გამათხოვონო. გახსოვს სახლთ-ხუცესო, მანუჩარი როგორ იყო ბატაკებული სიყვარულით, როცა მეფის დაბრუნების ამბავი გავხარა?

— განა ის წუთები როდისმე დამავიწყდება, დედოფალი? მიუგო სახლთ-ხუცესმა.

— მე სხვა აზრები მქონდა. იმისთვის მსურდა ელენე ჰამზად-მირზასთვის მიმეცა, მაგრამ,—ეინ იცის—იქნება ნებაც არ გექონდეს, ძალა დავატანოთ სხვის გულს, თუნდ შვილის გულს... მანუჩარის სასარგებლო კაცია ჩვენი სამეფოსთვის: საათაბაგო, მართალს ამბობთ, ჩვენი იქნება. კახეთი... გამისხლტა აღექსანდრე მარტყოფში ხელიდან... როგორ დღლატით შემომეტყუა სამეფოში, უნდა დაეცინება ქვეყანა ჩემ სახლზე, თავის დაზე, არ იცოდა რევენმა, რომ სახიზლარი საქციელი თითონ იმასვე შეჰქმნიდა მასხარათ!—თქვა აღელეებულმა სვიმონე.

— არა სრულიათ ვანრისხდეს უფალი, არცა უკვე ძვირი იხსენოს. მივხლო აღექსანდრეს საზღაური. თქვენგან დატყვეებული კახელი დიდ-კაცები როდესაც თქვენ სვეტი ცხოველში ათქმეიწენთ, იმათ,—კახელს ნურასოდეს ნუ გაუმარჯოს, თუ მტრობა განიზრახა, თავის მომე ქართველზედა, სიძულდით იხსენებდენ აღექსანდრეს; თქვენ იმათი გული დაატყვევით, როცა თქვენ გაათავისუფლეთ

ისინი და დასაწყობებულნი გაისტუმრეთ. აღექვან-
დრეზე გული აქეთ აყრილი კახელებს, არც ვაკალ-
კეების მომხრეები არიან, მიუგო ქათალიკოშმა.

— ან კი რა არის საწყენი ისეთი კაცისაგან,
რომელიც თავის სამფლობელოზე ამბობს, ნეტა კა-
ხეთი გამოიარდეს, რომ სანადირო ადგილები მრავ-
ლათ მქონდესო, თქვა არჩილმა.

— ხემწიფე თითქო ყურს აღარ უგდებდა, მარ-
ჯენა უღელაშს იგრუნდა და ჩაფიქრებული იჯდა.

— მანუჩარზე და საათაბაგოზე ბძანებდით, ბა-
ტონო, შეპბედა საინომ.

— დიდა, საათაბაგოს რომ შემოვიერთებ და
შეუტყრავ ოსმალებს იქ გზას, ერთი დაკვრით ავი-
ლებ თბილისს. მერე გადავალ იმერეთს. შეგზღემა-
დის საქართველოა. იმ ქვეყნების საქართველოდან
მოწყვეტა შეუძნდობელი ცოდავა. მაშინ მოედება
ოსმალების ბრძანებლობას ბოლო ლისს აქეთაც და
ლისს იქითაც. მერე ისე ვიზამ, რომ საქართველო
არაგის ხელში შემაცქრალი არ იყოს, არც მტრის-
არც მეგობრისა, ვესმისთ? არც მეგობრისა!

— დიდი ხანია მიგხვდით თქვენ განზახებას,
ჩვენო დიდებულო ბატონო. შეერთებულ საქართვე-
ლოს თავისთ, სხვის შეუწყენელათ შეუძლია ცხო-
ვრება. ღმერთმა გისმინოს, დიდებულო ხემწიფე,
გზა წავგიმართოს! — მიუგო საინომ

შემოიყვანეს ელენე. გამოუცხადეთ ის ამბავი,
მოვისმინათ იმისი სიტყუაც, ბრძანა სვიმონმა. — მე-
რე მიუბრუნდა სახლთ ხუცესს.

— სულ ომი და ომი! მინდა ერთი მოვილ-
ხინოთ.

— ეგ ჩემზე მოაგდე, ბატონო მეფე! ყველანი
მადლიერნი დამრჩებით. ეე! დიდი ხანია თავი არ
მომიგოიანებია, მიუგო სახლთ-ხუცესმა.

შემოიყვანეს ელენე. მამამ ხელი მოჰკიდა,
გვერდზე დაისვა და აკოცა.

— მოდი შეილო, ეს ღღე ჩემთვის სასიხარუ-
ლოა. ღირსეულმა კაცმა გეთხოვა შენი თავი სას-

ძლოთ. რომ მოვიხარეთ, ჩენი მხრით თანხმობა
გამოცხადეთ.

ამის გაგონებაზე ქალი ვაფითრდა, სიმკაცრე
დაეტყო სახეზე. მამა მიუხვდა და განაგრძო სიტყვა:

— ნუ გეფიქრება, ჩემო შეენიერო, ჰამზად-
მირზას არ მიგცემ. განა მართლა ეგრე გულ-ქვა
მამაშენი, ათაბაგი ყვეარყვარის ძმა მანუჩარი, — ხომ
გახსოვს ის? — მოყვრობას მებეფეუბა, შენ გთხოუ-
ლობს; ეს კავშირი ღირსეულათ ვცანით. თუ შენ
გული მიგწევს, მე მანუჩარს სიამოვნებით მივიღებ
შეილოთ.

მანუჩარის ხსენებაზე ელენე ვარდით გაწით-
ლდა, თავი ჩალუნა, ეშინოდა ახვდნა მალდა, რომ
არ ამოვიტოხათ იმის თვალებიდან, რა ბედნიერებასა
გრძნობდა ახლა ის.

— გეითხარ, შეილო ნუ გრცხვები ნ, გაგვაგ-
ბინე შენი გულის პასუხი, უთხრა დედავალმა.

ელენე უფრო ააღელვა მორცხვობამ.

— როგორ არას ამბობს! იცით, სანამ მამა
მანუჩარი ჩვენსა იყო სტუმრათ, ელენე სულ მხია-
რულობდა, ისე ცელქობდა, რომ მოსვენებას არ გვა-
ძლევდა; მანუჩარი რომ გამოგეთხოვა, მაგან ტირი-
ლი დაიწყო, მთელი ერთი კვირა გაბუტულივით
იყო, — გამოამკლავნა გიორგი ბატონი შეილომა.

— ბარაქალა, ქალო! მამის ჩუმათ მიჯნუ-
რი გაგიჩენია, განა ეგრე უნდა? ხუმრობით უსაყუ-
დურა სვიმონმა, მერე განაგრძო:

— კარგი, საყვარელო! ბედნიერი ვარ, რომ
შენი გულისწადილი და სამეფოსთვის სასარგებლო
საქმე ასე ეთანხმებია ერთმანეთს.

ქალს მიულოცეს ბედნიერება. დაასვენეს ქორ-
წილი მალე გადაეხადნათ.

გ. ბარნოვი

(შემაღგო ოქნება)

აღიიონი გაზაფხულზე



ნათა. აღმოსაყლეთზე
თითქოს ავარდა ალია;
ზეცამ ჩაყლაპა სიბნელე,

მის არსებობა დალია;


მიწამ მოიხსნა პირ-ბადე,
მთებმა აიღეს თავები;
შემოსისინდა ნიაყი,
სიცოცხლის ამაყუაფები,
და აათრთოლა ფოთლები,
ზედ აღმასივით ნამებია...
გაბრწყინდა მთელი ხმელეთი,



ცამ დაიბანა პირია
 და ამ ნაბანის ცვართთა
 ყველას დაუფრთხო ძილია:
 სად ჩიტუნია აძრახდა,
 სად იამ ამოიფშვინა,
 სად მოკამკამე წყარომა
 უფსკურლით ამოიგმინა;
 სად გაშტერებულ მთა-კლდესა
 ქსუ შურთხმა შემოუსტივინა!
 სად გლეხი-კაცის ჭირანხელს
 ტოროლამ უთხრა ვალომა:
 „ზენაო, ყანის დამთესსა
 მიეცი შენი წყალობა!
 უკურთხე მოხრილი ქედი
 და ის მარჯვენა ხელია,
 რომელსაც ბებერი შეწყურებს

და მეც შეწვენას ველოა!..“
 დიდ-ყურა უღლაშაინსა
 აქ გაუთენდა ყანაში;
 იქ შეველი შეკრთა, ირემმა,
 ბინა მოძებნა ჭალაში,—
 ვადახტა, ლამაზი ნუკრი
 გადაიყოლა ჩალაში...
 შორე-შორიდან მოისმა
 მუშა კაცების განგაში.
 თქვენი გამგენის ჭირიმი,
 გენაცვალენით მაჯაში!..
 ვეალერსებთ ალიონს
 ამოსულს ქვეყნის კიდესა;
 ვუსდო, და ველო, ვეება
 მზეც მალე ამოვიდესა.

ჭყ. ჯ.



ორჯოვთა შეხედულობა

(ზ. ზნაურობას რა უშველის? შინაურა მიმოხილვა „მოამბე“ № IX—1894 წ. ნ. ნიკოლაძისა).

„მოკვარეს პირში უმძისკენ
 მტკრის პირს უკანაო“.

ზნაურობას რა უშველის? — კარგი საკითხია, მარა კიდევ უკეთესი იქნება, რომ ეკითხოთ: — ერს რა უშველის? ბ-ნმა ნიკოლაძემ პირველი საკითხი წამოაყენა და თავისებურათ გადაჭრა კიდევ.

„მე სწორეთ ერის ბედ-იღბალზე მაქვს საუბარი ჩემს წერილში და არა მარტო აზნაურობაზეო“. — გვეტყვის ბ-ნი ნიკოლაძე. აზნაურობაზე ვილაპარაკე მდენათ, რამდენათაც ეს ერის წინ წასაწევათ და წარსამატებლათ იყო საჭიროო“ და სხვა. მართალი ზრძანებდა. ამის დასამტკიცებლათ ჩვენვე მოვიყვანთ ბ-ნ ნიკოლაძის სიტყვებს, სადაც იგი ასე ამბობს:

„ამოდენა აზნაურობა ერთობ მიძიმე, აუტანელი ტვირთია ხალხისთვის. ვისაც ამ ხალხის სვე ებრალებს, ვისაც მისი დახმარება მსურს, იმას ჩვენში არ შეუძლია აზნაურობის მდგომარეობას არ

მიუქიოს ყურადღება და აზნაურობის ბედის გაუმჯობესებაზე არ იმეცდიდნოსო.

ეს რომ გულწრფელათ იყოს ნათქვამი მაშინ ხომ სტატიის მიმართულება — რა მხრითაც უნდა გაშინჯოთ იგი — ამ აზრს უნდა ემსახურებოდეს, მას უნდა ხსნიდეს და არკვევდეს? მარა ასე რომ არ არის!! ამოწერილი ადგილი მხოლოდ იმის მიწეშა, თუ როგორ ჭხარაკულ მსჯელობას არის დაჩეუელი ბ-ნი ნიკოლაძე, ამას ცხად ვყოფთ ქვევით: აქ კი შეინიშნათ კადევ, რომ პატივცემულ პუბლიცისტს ძალიან ეტრებება თავის ნაწერებში ქუჭრუტანების წავლესწამოვლესა, მიუთჩინებ-მოფუთჩინება. ამიტომაც არის, რომ უმეტესობა მის სიტყვას მიწაზედაც არ ადებებს. აბა, ყველა კაცს სად შეუძლია კვალში ჩადგომა, მარყუჯის გამოჩხრეკა? ნიკოლაძის ნაწერებში კი ეს მარყუჯი თუ არ იპოვეთ და მაგართ არ ჩააფრინდით, ისე ვერაფერს გააწყობთ. სად არის ეს ხელ-ჩასაკიდებელი ადგილი ანუ მარყუჯი ნიკოლაძის სტატიაში? სანამ ამის ძეხნას შეეუღლებოდეთ, საქაროა მოკლეთ გამოეცემათ თვით სტატიის დედა აზრა; ერცელი შინა-რისი კი, ვეიქრობთ, მკითხველსაც ემასხვავებთ.

ბ-ნ ნიკოლაძის აზრით, მიუტკლებლათ საჭიროა, რომ აზნაურობამ შეიჩინოს, შეიმჯაროს და

ხელდას არ გაუშვას ის ადგილ-მამული, რაც ხელით აქვს ახლა და საკლთარი შრომით „საკუთარ ქონებაზე“, საკუთარ მიწა-წყალზე“ ადადგინოს თავისი, ასე ეთქვათ, აზნაურული ღირსება და დიდება.

პირველ შეხედვით „ეკლესია“ ღირსია ბ-ნი ნიკოლაძე ასეთი აზრისთვის. „ეკლესია“ ძალა-უნებლით უნდა გარკვევდეს იმ ადგილის ამოკითხვაზე, სადაც ნიკოლაძე გლეხ-კაცობისადმი იჩენს უფრო დიდს გულმტკიცებულებას. აბა, ყურია დაუდგეთ მას:

„მართა აზნაურობის სარგებლობა რომ თხოვლობდეს ამებს, არაფერი ჩემი საქმე იქნებოდა თავი მემტკიცებოდა მის საშველათ. ამას მთელი ჩემი ქვეყნის, ყველაზე უფრო, გლეხ-კაცობის სარგებლობა მოითხოვს“.

დაეთანხმეთ ბ-ნი ნიკოლაძეს, რომ თავდაზნაურობაში შრომის მოყვარობის ვერცხვად და სწავლა-განათლების მოყვანა, გლეხ-კაცობისათვისაც სასარგებლო და გამოსადეგი არის. მარა ის გარემოება, რომ აზნაურობამ უნდა შეიკავოს, ხელიდან არ გაუშვას „მთელი კერძა საკუთრების“ მიყოფი მიწა-წყალი თბილისის გუბერნიისა და სამი-მეოთხედს — ქუთაისისა, რომელიც მის ხელშია ახლა, გლეხ-კაცობას რა ხელს მოუტობს, რა შედეგისა და წარმატებას მიცემს? ის „უზუნავსი და ყოვლის შემძლე რჩევა“, რომელიც წარსულის წელში კანონს მიუნიჭებია აზნაურობისათვის, ვითახეთ, რა გვართ აუშჯობებს გლეხ-კაცობის მდგომარეობას? ყოველივე ეს უნდა ვიცოდეთ, აშენებს თუ ტყს თავდაზნაურობასა და გლეხ-კაცობას შორის ხილს? ამ კითხვებს, ჩანს, ბ-ნი ნიკოლაძე დაუფიქრებია და ამიტომაც არის, რომ საჭიროთ დაუნახავს შემდეგი დასკვნის გამოყვანა:

„აქედან (აზნაურობის განდიდებიდან) მივც არ გამოდის, რომ იმას (აზნაურობას) ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განკერძოებული მდგომარეობა და უპირატესობა უნდა ეკუთვნოდეს, და მით უფრო — დანარჩენი ხალხი მსახურათ თუ მოჩილოთ მიეცოს“.

შევიწყებოდა დასკვნა, მარა საიდან და როგორ გამოიყვანა ეს ბ-ნი ნიკოლაძემ?! ნუ თუ აზნაურობას ლოლიკის კანონებიც უმსხვერპლა! აბა, გავიხილოთ ბ-ნი ნიკოლაძის შეხედულება და ენახოთ, გამართლებდა თუ არა მისი ასეთი დასკვნა.

მოგესხნებათ, განათლებული კაცობრიობის უწარჩინებულესი ნაწილი ეკონომიური უსწორ-მასწორობის მოსაზრებას და დამოხმას ცდილობს. სანამ სე უსწორ-მასწორობა სუვეეს, — სუსტი უნდა ემო-

ჩილებოდეს ძლიერს, ღარიბი მდიდარს, უძლიერესი უმძიდესს. და, აი, ასეთი მოვლენის დამკვიდრებას ხელს უწყობს და ესარჩლება ბ-ნი ნიკოლაძე! ამასვე ეტრფის „მოამბე“!! როგორ, რა სახით? მოგახსენებთ.

რა ყოფაში ჩაეარება გლეხ-კაცობა, როცა აზნაურობა ერთხელ და სამუდამოთ დაეპატრონება მიწებს ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს? რა იქნება მაშინ როცა ამ მიწა-წყლის მოსაყვამლოთ მთავრობის მიერ — რომელიც „გულ-მხურავალთ მოსურნეა ყოველნაირი დახმარება მიცეს აზნაურობას“, — მიინიჭებულ განსაკუთრებული უფლებით ისარგებლოს აზნაურობა? რა მოგვედოს მაშინ, როცა იგი დააბრსებს „ყოვლის შემძლე უზუნავსს რჩევას“ (კურსივი ჩვენია), რომლის განაჩენი სენატის განაჩენს უდრის?

მოგესხნებათ, ჩვენი ხალხი, მხოლოდ მიწის მომქმედია, მხენელ-მთევცელია. ამავე დროს მის ხელში სახანა-სათესი მიწა თითქმის სრულიათ არ არის, რის გამოც იძულებულია აზნაურობის მიწაზე იმუშაოს და თავისი შრომის ნახევარი მას აძლიოს. ამინარა, გლეხ-კაცობა თავ-სი ოჯლით და ჯაფით არჩენს იმ „შეათვლ ნაწილს მთელი ერისას“, რომელიც ბ-ნი ნიკოლაძისეე სტყევით „უშრომლოთ, უწარმოებლოთ, ქვეყნის ქონების მოუმატებლოთ, სხვის ხარჯზე ცხოვრებას, ბეგათ უყუთესათ, ვინემ შრომელი ანუ უმძინე“! მერე რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთი მდგომარეობას? ისა, რომ, ვიტყვი ნიკოლაძისეე სიტყვებით „ეს ერის შექლასასგ ამაყარეს და უსწორასგ სადავს“ (კურსივი ჩვენია). და ნუ თუ სასურველია ასეთი მდგომარეობის დამკვიდრება და განგრძობა?! ეს თვით ბ-ნი ნიკოლაძის განსჯაზე მიგინდვია. დამიანს კაცური აზრი სრულით ჩამქალი უნდა ჰქონდეს, რომ ეს ისურვოს.

აწინდელი მდგომარეობის განგრძობა იმდენი არაფერია, შემდეგში თუ კიდევ უარესი არ მოელოდეს გლეხ-კაცობას. ჩვენ ვხედავთ, რომ აზნაურობას დღეს არაფერია დაწესებულება (გარდა ბანკისა) და ხელ-შეკრულობა არა აქვთ ადგილ-მამულის მოსაყვამლოთ; მას არ აქვს საჭირო თანხა, არ სარგებლობს მთავრობის მიერ მიანიჭებული განსაკუთრებული უფლებით; იგი იძულებულია ასე თუ ისე შეიტყოს, შეითვისოს გლეხ-კაცობა, მარა ამავე დროს ვხედავთ, რომ მთელი თავისი სიმძიმით გლეხ-კაცობას დაწოლია თავზე და სულს უხუთავს. ახლა წარმოადგინეთ, რომ აზნაურობამ კანონით ზურგი გაიმაგრა, თავისი საკუთარი საწარმოებელი თანხა გაიჩინა „უზუნავსი ყოვლის შემძლე რჩევა“ შეადგინა, რომლის წყერები „ერთმანეთს უნდა დაუხალავდენ, უზითერთობის ნათესაური კავშირი გააძლიერდნ და საჭიროების დროს ზნეობრივი დახმარება და ფულით შეემყვებნ მიაწოდონ ხელ-მო-

კლე თანა მეგვარეს*. რა მოჰყვება ამას? ისა, რომ აზნაურობა ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განქრძობულს მდგომარეობას და უპირატესობას ადვიტებს და გლგენ-კაცობას მონათ და მორჩილათ გაიხდის... აი, მაშინ გათენდება „კუდა-ბზი-კობის* აღდგომა.

აზნაურობის გამდიდრებას, განდიდებას, განმტკიცებას და განცქობებას, საფერებელია ის შედეგიც მოჰყვება, რომ გლგენ-კაცობას სრულმართაც გაუწყდეს ლეკმა პური. შეერთებულს და გლონიერებულს აზნაურობას საშუალება ექნება რომ თავისი მიწა-წყალი თითონვე შემოეშალოს თითონვე გამართოს დიდი პლანტაციები, ქარხნები და სხვა. მაშინ რას იზამს გლგენ-კაცობა? იძულებული შეიქნება დალორათ იმუშაოს მემამულესთან, რასაც ხალხის ვაზოვანობა და ვალატაცია მოჰყვება. ამნაირათ ჩვენში გამეფდება ის ყოვლის დამამზბდე ი კაპიტალი, რომელსაც მედგრათ ებრძვის ყოველი ხალხის გულ-შემატკიერი და კეთილის მყოფელი. ამ ნაირათ განახლებდა ისევ, სხვა კანითა და ქერქით, ბატონ-ყმობა რომელიც პროგრესმა უარ-ჰყო და შემუსრა. ამ ნაირათ გაწყდება და მოისპობა გლგენ-კაცობასა და აზნაურობას შორის ყოველივე ძმური და ამხანაგური კავშირი და აღიდება საზღვრათ უსუსკრული და გაუვლო ზრამი. აი, ეს ვახლავს, ჩემო მკითხველო, ბ-ნ ნიკოლაძის ზრუნვა გლგენ-კაცობის სარგებლობის გულისათვის!! აი აქ არის მისი სტატიის მარ-ყუჯი.

აქ შესაძლებელი იყო ამ სტატიის გაწყვეტა, მაგრამ ბ-ნი ნიკოლაძე ამას უსაფუძვლოდ აზნაურობით მიგდა, რადგან მას ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩენია სიტყვის შემოსაბრუნებელი და თავის ვასამართლებელი. მაშ ნურც ჩვენ გვეტყვიეთ!

ნუ დაივიწყებთ, რომ ბ-ნ ნიკოლაძეს ერთ აღვიღებს ინტელისის ლორდებზე და მათ მდგომარეობაზე აქვს საუბარი. ლორდების მაგალითით გვიმტკიცებს, რომ შეიძლება კაცს, თემელს წორდება, დიდი შეძლება და უაღრესობა ჰქონდეს, მარა ღირსეულათ და ქვეყნის სასარგებლოთ მოიხმაროს. ჩვენი აზნაურობაც ასე მოიქცევაო და სხვა. მოვისმინოთ თეთ მისი სიტყვები.

„დღეს ინგლისშიო, — ამბობს ნიკოლაძე, თითქმის მთელი მიწის მფლობელია ისევ ლორდების ხელშია, და მათი ეკონომიკა უზინტესობა მართლაც ერთობა მამე ტვირთათ აქვს ქვეყნის წარმოებას (კურსიგი ჩვენი). მაგრამ ლორდები თავიანთ ურიტებ შემოსავალს ისე უხვათ ახმარებენ საზოგადოებას, ისე რიგიანათ იცავენ თავიანთ ღირსებას, ისე ხშირათ გამოდან ხალხის მფარველათ და დამხმარეთ, რომ საღისს უმეტეს ნაწილს ჯერც თითქო ან უგრ-

მენათ მათი ეკონომიკური ტვირთათ და ენებაო“ (კურსიგი ჩვენი).

„ტვირთი და ენება“ ხომ არის და თუ ეს ჯერ კლხს არ უგრძენია, — სულ სხვა საკითხია, სასუტრეელია თუ არა, რომ ხალხმა იგრძნოს ეს ტვირთი და ენება? და თუ სასურველია, ჩვენ რისთვისაა უნდა ენატრობდეთ, რომ ეს საშინელი უფლო ჩვენ ერსაც დედგას კისურზე?! ჩვენი თვად-აზნაურობის გალორდებას, თუ შეიძლება ასე თქვათ, — რასაკვირელია, „ტვირთი და ენება“ უნდა მოჰყვეს თან ჩვენი ხალხისათვის — მერე ამას უნდა უწყობდეთ ჩვენ ხელს?! ასე ვადაუკულმართებულ აზრს რკინის ნალებიც რომ დაეკედოთ მის სუსტ და მოკლევნებზე და ისე ვარონოთ, ესეც ვერ იხსნის, მაინც ვაცუდუნა...“

ვითომ კეთილისმყოფელობათ ჩასათვლია ის, რომ მილიონების პატრონმა რამდენიმე მანეთი, ან თუ მანი მოახმაროს საზოგადოებას? შეგაროდება კი ისე მილიონები, რომ მუშა-ხალხს არა წააღლიჯოთ რა? და თუ არა, — რა კეთილის მყოფლობა იქნება, რომ დღეს ტყავი გააძრო ხალხს და ხელო მისი ტყავიდან ერთი საქალამნე უწყალობო — ისიც დამადლებით და თავ-მოწონებით? კმარა! კმარა!

რა გაეწყობა, თუკი სხვაფრე არ მოხერხდება საქმეო, — იტყვის ბ-ნი ნიკოლაძე. — მე ვანა არ თანაუგრძობო, არ ეცტრფი იმას, რომ აზნაურობის მიწა-წყალი გლგენ-კაცობის ხელში გადაიდგეს, ილონდ კი სხვა ტომის ხალხს ნუ ჩაუფარდება ჩელშიო, მაგრამ რა ექნათ თუ კი ეს შესაძლებელი არ არისო“. და სხვა.

მართლაც ბ-ნი ნიკოლაძე ამ სავანზე ასე სჯის:

„გლგენ-კაცობა რომ ყიდულობდეს, ამგვართ ვასაყიდს (ბანჭში დაგრაგებულს) მამულებს, კიდევ აზაფერი, ან კარგიც იქნებოდა (ხომ გესმით)? საუხუბდლოთ, ჩვენ ჯერ არა გვაქვს ისეთი ორგანო, ან წესწყობილება, რომ ვასაყიდ დიდრონი მამული შევილო ნაკებრეთ იყოვლადეს ვაყიდვის წინ და ეჭვილი ვაღთ გლგენს ნისათ ეძლოდესო“.

დაიღ, საქმეც იმაშია, რომ გლგენ-კაცობისათვის აზიენ ზრუნავს, მისი „სტატიკარი არვის ტკივა. ჩვენ დროში ყველა იმას ესარჩლება და ემხრობა, ვინც რითიმე წარჩინებული და სახელ-ვანთქმულია, ვისაც დიდი შეძლება და სიმდიდრე აქვს, თვარა საწყალსა და ვაჭირებულს ვინ შენებდავს? კანონიც, მწერლობაც და საზოგადოებაც დაწინაურებულს და ძლივა მოსლის აწინაურებებს, ხოლო დაძაბუნებულს და წელში გაწყვეტულს კიდევ უარეს დღეს აყენებს! ასეთმა მოკლენამ ათქმევიანა ხალხს, რომ ვისაც ქონდეს მასვე მიეცესო“

(შედეგი ქნება)

თ. ჭავჭავაძე

საქველ-მოქმედთა საქმე



გზირ სიტყვათადასახელების სახით ფუნდის სასარგებლოდ მივიღეთ ჭაბუკიდან პასპორტის განახლების 2 მ.



სავე მიხინთ მივიღეთ ზოლმორჩილები გ. გ. ბერძენისგან ცხუბიდან (ხაჭაპურის მხრიდან) 10 მ. რომელიც მას შეუგროვებია თავის ამხანაგებთან შორის შემოწმირველთა სია:

ზორჩილები ნ. ი. პირაძე (პორუჩ. Н. И. Пира 1 p.) ზოლმორჩილები გ. გ. ბერიძე (подп. К. Г. Беридзе 3 p.) 3 მ. ზოლმ. მ. მ. ზონოპროცობი (подп. П. М. Пномаревъ 1 p.) 1 მ., ზოლმ. გ. ი. გვიგინაძე (подп. В. И. Гейцигъ 1 p.) 1 მ. კეიში ნ. ი. შტილოვა (врачъ Н. И. Штиловъ 2 p.) 2 მ. კეიში გ. მ. ბერძენი (врачъ В. М. Петровъ 1 p.) 1 მ. კაჭრამა ჭელიძე-გამბროვა (Торговецъ мелникъ-Агамировъ 1 p.) 1 მ.

საერთო „გვალის“ რედაქციის მიღებული 245 მ. 3. 50 გ., რომე შეიტარეს ეს ფულიც შედგება 257 მ. 50 გ.



„გვალის“ რედაქციის მიიღო გოგოლა დიმიტრის ასულ ბერძენისგან შემდგენი წერილი:

ქ-თ რედაქტორო!

უმორჩილებსთ გთხოვთ თქვენი გახეთის საშუალებით უგულოთადესი მადლობა გამოუხსნადოთ ქ-ნ ნატალია მკვრევისს, რომელიც კეთილ ინება და შეკრება ფოთში 53 მ. 40 გ. და წიგნები 9 მ. 60 გ. და ხედისთვის მომავალ წიგნთ-საკრების და სამუთხელოს სასარგებლოდ.

ამისთან უმორჩილებსთ გთხოვთ დავებუებლათ შემოწმირველთა სია:

5 მან. ა. ნ. გოგობერძისმ, 3 მ. ზედალჩინმა ნიკ. რამიშვილმა და ლავ. ტულუშმა. 2 მ.—ნატ. მკვრევისსამ, პარასკ. ჭაბუკარისამ და ალ. იანოზულდო. თითო მანეთი კვ. გაბუნამ, დ. ლავამ, მანს. კინწურაშვილისამ, ჭრ. ხუმარამ, იფ. ხუნდაემ, სამ. გუგუნავამ, სამ.

ჭოჭოში, ან. უვანამ, მის. ჭაბუკარამ, კოს. გვასალიამ, გინზურამ, სილ. ვიდურამ, მარ. გრიგორისამ, რუსულ ეფენდომ, (თათრის ვინსულები) მინ. ნამიევიშვილისამ, დავ. დამ. ცომაში, დ. სამეურაშვილმა, ალ. ანუეუევიშვილამ, ბ. კაჭრამ, მის. ანდრეულები, კონ. იანოსარამ, სტაროვამ, თვ. მის. მსიქემ, დ. ჭიქამ, ე. სალონიეიმ, გ. რუსემ, ი. ცაღაშინიემ, ალ. ვაუხროვამ ზედალჩინმა ვლ. ჭანტუიამ, ნ. ზედალჩინამ, გრ. მდინარემ, როს. ჩანავამ, მღვ. ნიკ. სამხარემ, ზელ. სოტარასამ, გ. ღვანეთელმა, დარ. ხუნდაისამ. 40 გ. ი. ღვანავამ.

წიგნები შემოწმირეს შემდეგ პირებმა სოფ. მგალო ბლიშვილმა 2 მანეთისა, მღვ. დავ. ვინჯარამ 2-ისა გარ. ღვანეთელმა 2-ისა და ხუნდაისამ 1 მ. 25 გ. ზელ. სოტარასამ 1 მ. 60 გ. მდ. ნიკ. სამხარემ 50 გ.



„გვალის“ რედაქციას: უმორჩილებსთ გთხოვთ, თქვენი სატრა-ტეშულია ვაჭუთა „გვალის“ საშუალებით უგულოთადესი მადლობა გამოუხსნადოთ, სოფიო ბლიკაშვილის ასულს მისიისს, რომელმაც ასანის საკრო ბიბლიოთეკას შემოწმირა 5 მ., და სხვა პარასკავან შეგროვოვა 31 მ. 5 გ., შემოწმირველთა სია: ნ. მ. თველი; ნინო და ელენე მჭვიშვილისამ, 3 მ. კატრინინიემ, მკრინე დოლიემ, 2 მ. ნინო ასათიანმა, კატრინე და ივლიტე ნინიემ, 1 მ. იფ. შვერდნასემ, მისიტი თაღვაჯამ, ჯიანა შაგვინასემ, მტ. ნინიემ, არ. ნაცვალასემ, ტერ. ნინიემ, პის. ნაცვალასემ, ნ. დოლიემ, მარ. ნაცვალასემ, ლესტანს გოგობისამ, ესმა მასემ. 60 გ. ფეფიკო ვოდურძისამ, მართა თაგართ-ქიდაისამ. 50 გ. მატა ქეთთელისამ, მამია ნაცვალასემ, გოგობს დარჩამ, ანარაე ტეშვილმა. 40 ფედლისი ვასისამ. 25 გ. პანკო ვინჯარაშვილისამ. 20 გ. ესმა ვინჯარაშვილისამ.

ბიბლიოთეკის დამაარსებელი ს. მჭვიშელი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წერეთლის.